ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 22 (1395) | 26. X. — 1. XI. 1994 წ.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებელი ყრილობა

23 ოქტომბერს გაიმართა ყრილობა, რომელიც მიეძღვნა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დაარსებას. უკვე იურიდიული ნორმების დაცვით, გაერთიანდა სამი პარტია: სახალხო ფრონტი, რესპუბლიკური პარტია და ქარტია —91. ყრილობა გახსნა ბ-ნმა შოთა ნადირაშვილმა. მან აღნიშნა: სამივე პარტიის გაერთიანება მოხდა მათი საერთო მიზნების, საერთო მსოფლმხედველობის საფუძველზე და რომ პოლიტიკური თვალსაზრისით გაერთიანდნენ ინტელექტუალური ძალები. გაერთიანების საკითხებთან დაკავშირებით სიტყვით გამო-



გაგრძელება მე-3 გვ.

მათ არაფრისა სცხვენიათ და არაფრისა ეშინიათ ანუ «მეამბოხე» დეპუტატები მ.გიგინეიშვილი და ე.შენგელაია

წინა საპარლამენტო სესიების კვირას ორმა დეპუტატმა სახელმწიფო მეთაურის გუნდიდან საოცარი განცხადება გააკეთა. ჩვენაო, განაცხადეს დეპუტატებმა მანანა გიგინეიშვილმა და ელდარ შენგელაიამ დეპუტატის იმუნიტეტს ვიხსნითო და ეს ცნობად მიიღოსო სპიკერმა, სხვათაშორის ამ „იდეას“ მანამდე აქტიურად უჭერდა მხარს ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატი“.

არ მეგონა, რომ ეს საჭირო გახდებოდა, მაგრამ ვინაიდან ზოგიერთ ჩვენს დეპუტატს ასე უჭირს უმარტივეს იურიდიულ და სამართლებრივ საკითხებში გარკვევა, იძულებული ვარ აუცილებელი განმარტება გავაკეთო.

ეს ინსტიტუტი, ცალკეული დეპუტატისათვის სასჯელის ამაცილებელი ზომა კი არ გახლავთ, როგორც ეს თქვენ და თქვენ-

გაგრძელება მე-2 გვ.

არამზადობის მსოფლიო რეკორდები

ჩვენს საუკუნეში, როცა რეკორდებს ესოდენი ფასი დასდებიათ, როცა გინესის წიგნად წოდებული რეკორდების აღმნუსხველი ერთი გეებერთელა წიგნიც გამოიცემა, ბევრი საძრახისი, გულის ამრევი ან ღიმილის მომგერელი რეკორდია დამყარებული. ბევრი მათგანი ეცემა და რეკორდმსმენები - ახალ სიმაღლეებს იპყრობენ, მაგრამ კომუნისტების მიერ დამყარებული, სისხლისღვრის, არამზადობის, გაიძვერობის, ფლიდობის, სიცრუის რეკორდებს ძნელად თუ ვინმე შესწვდება.

ეშმასთან წილნაყარი ამ ვაუბატონების სინდისზე, რომელთაც საქართველოში 1921-1990 წლებში იბატონეს და ამ ბოლო დროს ნიღაბ გამოცვლილებმა კელავ სამთავრობო სავარძლებში მოიკალათეს, ასეული ათასობით ქართველის სისხლი და ჯოჯოხეთად ქცეული ცხოვრებაა, გაუგონარი ეროვნული ღალატი და ადამიანთა სულიერი და მორალური გათახსირების უფსკრულში გადაჩეხვაა: ეს არაკაცები რეკორდებს პრესაშიც ამყარებდნენ და ამყარებენ დღესაც. მათ ხელში პრესა სიცრუის, მონაჭორის, ბოლმის ნთხევის ასპარეზად იქცა. მას სიმართლესთან კავშირის ყოველგვარი ნიშანწყალი წაერთვა. ნურავის ეგონება, რომ რესტავრირებულ კომუნიზმს და რუსულ ნაციონალ-სოციალისტურ იმპერიალიზმს, რომელიც დღეს საქართველოში სულს ღაფავს, თავის ტრადიციაზე და ჩვეულებაზე ხელი ჰქონდეს აღებული. ნურას უკაცრავად! ყოველად შემთხვევითი პიროვნების, ვინმე ზურაბ სარჯველაძის ახლახან გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილი არაშემთხვევითი გალაშქრება პარლამენტარ ნ.ნათაძის ოცი წლის წინანდელი ლიტერატურული საქმიანობის წინააღმდეგ სწორედ ამის დასტურია. ღმერთმა უწყის რა მოტივით ან ვისი დავალებით,ის ასეთ ბრალდებას უცენებს ნათაძეს: „მე არ შეშიძლია პატივი მივაგო კაცს, რომელსაც ჩადენილი აქვს გაუგონარი მკრეხელობა მაცხოვრის მიმართ („იესო ქრისტე ვერ ამაღლდა თავის ეპოქის ცივილიზაციის დონემდე“). ამის მსგავსი რამ მსოფლიოში არ მოიფიქრებია ალბათ არც ერთ ყველაზე სასტიკ ქრისტიანობის მოწინააღმდეგეს“. (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1994 წლის 14 ოქტომბერი).

ნოდარ ნათაძე კი თავის წიგნში „მითი და სინამდვილე“, რომელშიც ქრისტეს ცხოვრება და ქრისტიანული მოძღვრება პოპულარულადაა გადმოცემული, წერს შემდეგს: „ერთი მხრივ, ქრისტეს პირველ ქადაგებათა სულისკვეთება ნათელი, მშვიდობიანი, ჰარმონიული სულისკვეთებაა. იგი ქადაგებს სრულ უდრტვინველობას და მინდობას ზეციური „მამის“ ნებისადმი, მშვიდსა და უშფოთველ არსებობას, როგორც არსებობენ, მაგალითად, ფრინველნი და „შროშანნი ველისანი“, რომლებიც არც ზრუნავენ, არც თესენ და არც მკიან, მაგრამ ზეციური „მამა“ აჭმევს და მოსავს მათ. მეორე მხრივ, იესოს ქადაგებაში იმთავითვე იგრძნობა დაპირისპირება იმათ მიმართ, ვინც ამ ქვეყნის სიამოვნებას და წარმატებას მეტისმეტად ერთგულად მისდევს, ვის თვალშიც „ტვირთმძიმობა“ და „მაშვრალობა“ მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი მოვლენებია, ვინც ვერ

გაგრძელება მე-2 გვ

განგაში

ერთმა თავი ჩამოიხრჩო. რამდენიმე გაიქცა...

წარმოუდგენლად მძიმე მდგომარეობაში არიან რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბედის ანაბარად მიტოვებული ავადმყოფები. რომელთაც უკვე წელიწადზე მეტია თავი მცირეოდენი ჰუმანიტარული დახმარებით გააქვთ, ხოლო სახელმწიფოს მიერ საავადმყოფოსთვის გამოყოფილი სახსრები იმდენად მცირეა, რომ იგი პაციენტთა კვებასაც კი არ ყოფნის, რომ არაფერი ვთქვათ უხელფასოდ დარჩენილ მედპერსონალზე და სხვა მატერიალურ გასაჭირზე.

გუშინწინ, მას შემდეგ, რაც სამი დღეა საავადმყოფოსა და მის მიმდებარე ტერიტორიას არ მიეწოდება დენი, საავადმყოფოს ფსიქიატრიული ექსპერტიზის პალატა — საკნიდან, სადაც იმყოფებოდნენ სხვადასხვა დანაშაულობებზე დაკავებული პატიმრები, მოხდა მათი მასობრივი გაქცევა, უშუქობის გამო ხე-

გაგრძელება მე-2 გვ

გაკოტრდა «ოქროს თასი»

რა ამოძრავებდათ ვალერი კვარაცხელიას. ჭაბუა ამირეჯიბს და ჯანსულ ჩარკვიანს?!

პატივცემულო რედაქციავ, მოგმართავთ ერთი რიგითი, მოტყუებული მეანაბრე.მოტყუებული არა მარტო ვაი-ბიზნესმენებისაგან, არამედ ჟურნალისტებისაგანაც. თუ რატომ, ამას ახლავე აგიხსნით:

ვალერი კვარაცხელიამ, სატელევიზიო გადაცემა ;პირისპირ“-ის წამყვანმა „ჩაწყობილ“ შეკითხვაზე, თუ ვინ არის სპონსორი ამ გადაცემისა, უპასუხა,რომ სპონსორია კომპანია „ოქროს თასი“,რომელიც იქვე, ვითომ სხვათაშორის, დადებითად დაგვიხასიათა და წარმოგვიდგინა ისეთ ფირმად, რომელსაც გაკოტრება არ ემუქრება და სადაც შეიძლება ანაბრების შეტანაო. რეკლამა რეკლამად, მაგრამ ასეთი დონის (პოპულარობის, თვალსაზრისით) ჟურნალისტი და თანაც დეპუტატი რომ ასეთ ქებას მიუძღვნის რომელიმე ფირმას თუ კომპანიას, მოდი და ნუ დაუჯერებ!

ჩემდა სამწუხაროდ, მეც დავუჯერე, მეც მოვტყუვდი, თუმცა რას არ მოვტყუვდებოდი,როცა კვარაცხელიას ბანი მისცეს ისეთმა ცნობილმა მწერლებმა, დეპუტატებმა, როგორიც გახლავთ ბ-ნი ჭაბუა ამირეჯიბი, ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელთაც სატელევიზიო ეკრანიდან მოსახლეობას სრული გარანტია მისცეს იმისა,რომ „ოქროს თასი“ მყარად

გაგრძელება მე-2 გვ

მათ არაფრისა სცხვენიათ და არაფრისა ეშინიათ ანუ – «მეამბოხე» დეპუტატები

მ. გიგინეიშვილი და ე. შენგელაია

პირველი გვერდიდან

თვის ამ შეკვეთის მომცემებს ჰგონიათ (თუმცა, კი მრავალრიცხოვანი იურისტ-ექსპერტები ჰყავთ), არამედ მთლიანად პარლამენტის დამცავი მექანიზმის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში და კერძოდ, პოლიტიკურ ცხოვრებაში პარლამენტის განსაკუთრებულმა ადგილმა განაპირობა.

ეს დამცავი მექანიზმები გახლავთ:

1. თავისუფალი მანდატი — დეპუტატი ითვლება მთელი ერის წარმომადგენლად და არა რომელიმე საარჩევნო ოლქის წარმომადგენლად. იმპერატიული მანდატი აკრძალულია, ეს საკითხი მისი მნიშვნელობის გამო კონსტიტუციის დონეზე წესრიგდება.

2. სადეპუტატო ხელფასი — იგი უზრუნველყოფს პარლამენტარისა და შესაბამისად პარლამენტის მატერიალურ დამოუკიდებლობას. თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ საკითხს უცხოეთში, მიუთითებს ის გარემოება, რომ გფრ-ის კონსტიტუციაში შესაბამისი ნორმა არსებობს. და ბოლოს 3. სადეპუტატო იმუნიტეტი, რომელიც მოიცავს: ა) დეპუტატისათვის აზრის გამოთქმის თავისუფლებას ბ) ხმის მიცემის თავისუფლებას გ) დეპუტატის ხელშეუხებლობას.

ა)აზრის გამოთქმის თავისუფლება. დეპუტატი არ აგებს პასუხს მის მიერ გამოთქმული აზრისათვის, მის მიერ შემუშავებული დოკუმენტებისათვის, შეხედულებებისათვის და ეს საკითხი ყველგან კონსტიტუციის დონეზე წესრიგდება და სათავეს ბრიტანეთში იღებს. ასე იყო 1921 წლის კონსტიტუციაშიც (მ.48).

ბ) აქ ხმის მიცემის თავისუფლებაზე არ შევჩერდები, ცხადია რომ პიროვნება არ აგებს პასუხს იმაზე, თუ როგორ აძლევს ხმას. ჩვენი პარლამენტი ამ მხრივ გაზრდილ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობს და ვინც წესიერად იქცევა და სწორად აძლევს ხმას, მათთვის წახალისებისა თუ დაჯილდოების მთელი სისტემაა შემუშავებული.

გ) დეპუტატის ხელშეუხებლობა— იცავს დეპუტატს მთავრობისა თუ კერძო პირის მხრივ დევნისა თუ შევიწროებისაგან, რაც უზრუნველყოფს პარლამენტის შეუფერხებელ მუშაობას და დამოუკიდებლობას.

კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ იმუნიტეტი პარლამენტის წევრების პირად ინტერესებს კი არ იცავს, არამედ მთლიანად პარლამენტის ინტერესების დამცველია და მას საჯარო სამართლებრივი ხასიათი აქვს, რითაც გამოირიცხება ამ იმუნიტეტის უარყოფის საშუალება რომელიმე დეპუტატის მხრიდან.

ეხლა ჩვენ კანონმდებლობას გადავხედოთ, ჩვენს მიერ მიღებულ იმ კანონებს, რომელთაც ზემოთ ჩამოთვლილმა „მეამბოხე“ დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს. მათგან უმთავრესია კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ (მ.9), რომელიც დღეს საქართველოში ქვეყნის ძირითადი კანონის მოვალეობას ასრულებს.

და, აი, ჩვენი ღრმადპატივცემული დეპუტატები აცხადებენ, რომ ისინი არ ცნობენ ზემოთ აღნიშნული კანონის შესაბამის ნაწილს და სთხოვენ სპიკერს ცნობად მიიღოს მათ მიერ დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნა. წარმოიდგინეთ ქ.თბილისის მოსამართლეუმ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს რომ მიმართოს ასეთი განცხადებით: გთხოვთ ცნობად მიიღოთ, რომ დღეის ექით მე აღარ მივუსჯი დამნაშავეს გაუპატიურებისათვის, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის ამ ნაწილს არ ვეთანხმებიო, ან კიდევ მეხანძრემ განაცხადოს — კი, ვიცი ცეცხლი რომ უნდა ჩავაქრო, მაგრამ უფრო ზევით ეს მოვალეობა ჩემზე არ ვრცელდებაო. თვალსაჩინო მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება, მაგრამ ამჯერად ამით დავკმაყოფილდებით და საკითხის იურიდიულ მხარეზე გადავალთ.

ზემოთხსენებული განცხადებები დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნის შესახებ რომ იურიდიულად აბსურდულია, ამას, მე მგონი, მტკიცება არ სჭირდება. არავის აქვს უფლება შეეხოს ამ იმუნიტეტს, თუნდაც ამის მსგავსი ათასი, ძლიერთ ამა ქვეყნისათა მიმართ მაამებლური განცხადების გაკეთების შემდეგაც. იმუნიტეტი მოვიხსენით, იმიტომ რომ ჩვენ არაფრის გვეშინია, ასე აცხადებენ ისინი მედიდურ პოზაში დამდგარნი. იმუნიტეტი დაგვრჩა — ჩურჩულებენ კულუარებში და კმაყოფილნი იღიმებიან.

თუ არ მიწყენთ, მინდა გირჩიოთ სახელმწიფოს მეთაურის გუნდის ღირსეულ წარმომადგენელთ — უზენაეს დავალებას უფრო კვალიფიციური შესრულება სჭირდება. ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ სახელმწიფოს მეთაურის აპარატის იურისტები, ფასიანი იურიდიული კონსულტაცია (სახსრები გამოჩნდება), ან თუნდაც ჩვენი სახელგანთქმული იურისტები საპარლამენტო უმრავლესობიდან.

უფროსის ნდობა არ შეიძლება მუდმივი იყოს, ამას ყოველდღიური დაძაბული შრომა სჭირდება...

ფრიდონ საყვარელიძე

ერთმა თავი ჩამოიხრჩო, რამდენიმე გაიქცა...

პირველი გვერდიდან

ლის მომზადება და ავადმყოფები ისედაც მწირ „სალაფავს“ ვერ ღებულობენ. ხელისუფლება კი უმოქმედოდაა, ალბათ იმიტომაც, რომ მაღალ თუ დაბალ სკამზე მოკალათებული ჩინოვნიკისთვის სულით ავადმყოფი ადამიანი არაა იმდენად საშიში, მას არც პიკეტირება, არც მიტინგის გამართვა, არც საჩივრის დაწერა (თუმცა წერე და იკითხე) და არც სხვა რამ საპროტესტო აქციის მოწყობა ძალუძს, ანუ ისეთი რამის ჩადენა, რომელმაც შეიძლება ჩვენი ისედაც სახელგატეხილი მთავრობის ნოლზე დასული რეიტინგი (ჩვენსა და ხალხის თვალში) კიდევ უფრო დასწიოს.

არადა, ფსიქიატრიული საავადმყოფოებიც და მათი პაციენტებიც სულს ლაფავენ და თუ სასწრაფოდ რაღაც არ ვიღონეთ, ხვალ და ზეგ უკვე გვიან იქნება.

მივმართავთ საზოგადოებას, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს, ყველა მოქალაქეს, დღესვე, დაუყოვნებლივ შევეწიოთ ჩვენს სულიერად ავადმყოფ ძმებსა და დებს, შევეწიოთ იმდენით, რამდენიც შეგვიძლია, ამით არათუ მათ, ჩვენს სულებსაც გიხსნით გულგრილობისაგან, ნიჰილიზმისაგან, გაუცხოვებისაგან.

ბელა იზოშვილი

არამზადობის მსოფლიო რეკორდები

პირველი გვერდიდან

ხედავს ტანჯვისა და გასაჭირის თავისთავადს, განმწმენდ ღირებულებას ადამიანის სულისთვის. ვინ არის ქრისტეს ეს ფარული მოწინააღმდეგე, ესეც ცნობილია ისტორიიდან: ეს არის არა მარტო და არა იმდენად მისი სამშობლოს გაზულუქებული ექსპლოატატორული ზედაფენა, რამდენადაც მთელი ექსპლოატაციაზე დამყარებული მონათმფლობელური რომაულ-ბერძნული სამყარო, რომლისთვისაც მდაბალთა და უბედურთა ხვედრი მხოლოდ და მხოლოდ ზიზღიანი ღიმილის საგანია[1].

თითქმის უეჭველია, რომ ქრისტეს, მიუხედავად კავშირისა ესეელთა სექტასთან, არ ჰქონდა განათლება მისი თანამედროვე მსოფლიო კულტურის სფეროში. მაგრამ გვიანანტიკური სამყაროს სულისკვეთებას იგი, უნდა ვიფიქროთ, კარგად გრძნობდა თავისი ბუნებრივი ნიჭის წყალობით (მით უფრო, რომ მოზრდილი ბერძნული კოლონია მის სამშობლოშიც იყო, ე.წ. „ათქალაქი“ ანუ დეკაპოლისი) და მის ულმობელ, ადამიანის შეჭირვებისადმი გულგრილ მსოფლმხედველობას აქტიურად უპირისპირდებოდა. იესო უკიდურესობამდე მოუთმენელია იმათ მიმართ, ვის თვალშიც ტანჯვა და „გულით მგლოვიარობა“, რაც ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, შემთხვევითობაა და მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთთა — ყველაზე უბედურთა და აბუჩად ასაგდებთა ხვედრია. როგორც ჩანს, ისტორიული ქრისტე არ ცდილობდა, თავისი მოძღვრების ეს შემტევი, საზოგადოების დამყოფი ხასიათი დაემალა. „არა მოვედ მოვლენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა“, — ასეთია მისი ერთ-ერთი პრინციპი". (ნ.ნათაძე. მითი და სინამდვილე, თბ., 1978. გვ: 72-73).

კომენტარი ზედმეტია, მაგრამ მკითხველს მაინც მივაწოდებ მას. „არა ჰქონდა განათლება მისი თანამედროვე მსოფლიო კულტურის სფეროში", (რომელიც ნ.ნათაძემ დაწერა. იხ. ზემოთ), იმას ნიშნავს, რომ ქრისტე არ იყო ნამყოფი რომში, არ იცნობდა მის ხუროთმოძღვრებას, პოეზიას, მხატვრობას, ქანდაკებას, არ იყო ნანებივრები მის აბანოებში, არ ჰყავდა მონები, არ დასწრებია გლადიატორთა ბრძოლებს და ა.შ. ხოლო სიტყვები: „ვერ ამაღლდა თავისი ეპოქის ცივილიზაციის დონემდე“, (რაც ნათაძეს არ დაუწერია, არამედ სარჯველაძის მიერაა შეთხზული), იმას ნიშნავს, რომ ქრისტე თავის თანამედროვეებს ჩამორჩებოდა. არის ეს ორი გამოთქმა ერთი და იგივე? დაე, ეს მკითხველმა თავად განსაჯოს.

წითლები, ადრე, კაცის განადგურებას რომ განიზრახავდნენ, „ხალხის მტრობას“ და „პარტიის ხაზის გამრუდებას“ აბრალებდნენ. ახლა ამ უბადრუკ ათეისტებს და წერა-კითხვის უცოდინარ „დიამატისტებს“ (რაც თავისთავად ყოველგვარ უწიგნურობაზე ღრმა უწიგნურობაა), სხვა არა დარჩენიათ რა გარდა იმისა, რომ თავის მოწინააღმდეგეს მკრეხელობა დააბრალონ. მკრეხელობას სხვას აბრალებენ ისინი, ვისი არსებობაც კი მკრეხელობაა ღვთის, ბუნების, გონებისა და სვინდისის წინაშე!

1. „ქრისტეს მოძღვრების კავშირზე ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი გვიანდელი ფილოსოფიური სკოლის — სტოელების ზნეობასთან საუბარი გვექნება ქვემოთ“.

ა. ლაზისკირი

რა ამოძრავებდათ ვალერი კვარაცხელიას, ჭაბუა ამირეჯიბს და ჯანსუღ ჩარკვიანს?!

პირველი გვერდიდან

იდგა ფეხზე და მას გაკოტრება და ამგვარი რამ საერთოდ არ ემუქრებოდა.

ბატონი ვალერი კვარაცხელიას, ბატონების ჭაბუა ამირეჯიბისა და ჯანსუღ ჩარკვიანის, ეს რეკლამა-გარანტიები წმიდა წყლის ტყუილი აღმოჩნდა და აგერ, „ოქროს თასიც“ გაკოტრდა და დღეს, როცა ამ წერილს გწერთ, მის ოფისს ათასობით მეანაბრეა შემორტყმული.

მაინტერესებს, რა ამოძრავებდა ბატონ ვალერი კვარაცხელიას ასეთი რეკლამის გაწევისათვის და რა ამოძრავებდათ ბატონებს ჭაბუა ამირეჯიბსა და ჯანსუღ ჩარკვიანს, როცა „ოქროს თასის“ წარმატებულ საქმიანობაში გვარწმუნებდნენ.

რა თქმა უნდა, გვაინტერესებს, თუ რა მოუვა ჩვენს ანაბრებს.

პატივცემულო რედაქციავ, მოგმართავთ სწორედ თქვენ, რადგან თქვენი გაზეთის წინა ნომერში წავიკითხე წერილი „ნუ დაუჯერებთ, ნუ ენდობით, ნუ წამოეგებით“. სამწუხაროდ, თქვენი გაფრთხილება ყურად არ ვიღეთ, ახლა გვიანღაა თითზე კბენანი. ვინ გვიშველის, ვის მივმართოთ?

მანანა არსენიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი- ლიტვაში...

უზენაესი საბჭოს საგარეო საქმეთა ყოფილი თავმჯდომარე მედეა თუშმალიშვილი - პარიზში...

გამსახურდიას ოჯახი - გროზნოში...

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ყოფილი წევრები - ფინეთში...

რიგითები კი მერაბ კოსტავას ეზოში - საშიმშილოდ...

18 **ოქტომბერს** 14 სთ-ზე დიდი ხალხმრავლობა იყო მერაბ კოსტავას ეზოში, სადაც მრგვალი მაგიდის, ჰელსინკის კავშირის წევრები მე-6 დღეა მუდმივ, საპროტესტო აქციას აწყობდნენ. აქციაში მონაწილეობდა 47 კაცი, სადაც ჰელსინკის კავშირის გარდა შედიოდა დაუმორჩილებლობის კომიტეტი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, ნაციონალ-კონსერვატული პარტია, ასევე ერთვნული ხსნის მოძრაობა, რადიკალური კავშირი, ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, გეორგიანული მოძრაობა, მამულის აღორძინება, არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება.

აქციის წარმომადგენლებმა იქვე ეზოში, ჟურნალისტებისათვის მოაწყეს პრეს-კონფერენცია, რათა ფართო საზოგადოებისათვის ეცნობებინათ აღნიშნული აქციის მოწყობისა და მოშიმშილეთა მოთხოვნების შესახებ. კერძოდ:

1. მოვითხოვთ შევარდნაძის უკანონო, საოკუპაციო, მარიონეტული რეჟიმის გაუქმებას!

2. რუსეთის საოკუპაციო ჯარმა დატოვოს საქართველო!

3. მოვითხოვთ 1990 წ 28 ოქტომბრის საყოველთაო დემოკრატიული წესით არჩეულ კანონიერი ხელისუფლების აღდგენას!

4. მოვითხოვთ პოლიტპატიმრების განთავისუფლებას!

5. ქართველ ხალხს მიეცეს პოლიტიკური ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალება!

პრესკონფერენციას უძღვებოდა ანა ჭავჭავაძე, რომელმაც გვაცნო, რომ ისინი კატეგორიულად მოითხოვენ ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების შესრულებას, წინალმდეგ შემთხვევაში გამოაცხადებდნენ საყოველთაო დაუმორჩილებლობას ხელისუფლებისადმი. პრესკონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ისინი არც მომავალ არჩევნებში არ მიიღებენ მონაწილეობას, რადგანაც ბოიკოტს უცხადებენ შევარდნაძის რეჟიმსა და მის მიერ მოწყობილ არჩევნებს. ჰელსინკის კავშირი არ დაუშვებდა დეკანონიზებისთვის ის ქმედებები შედეგებითურთ, რაც მოყვა შევარდნაძის ჩამოსვლას საქართველოში.

ქ-ნმა ანა ჭავჭავაძემ საქართველოს ხელისუფლება გაიგივა ავღანეთის ხელისუფლებასთან. ხოლო შევარდნაძე კი, ნაჯიბულასთან. მანვე აღნიშნა, რომ არჩევნები არის დიდი მაგიდა, რის გარშემოც ზის მფლობელი და ინაწილებს ულუფებს, რომ შევარდნაძის კრედიტა კავკასიის დამოუკიდებლობის გაუქმება და ახალი იმპერიის შექმნა, რაც საერთოდ არ უნდა გვიკვირდეს საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო მინისტრისაგან. იგი სამ საქართველოში ჩამოვიდოდა — ბრძანა ორატორმა — არაერთხელ განცხადა პრესის საშუალებით, რომ მისი მიზანია სნგ-ში შესვლა, ხოლო ჩამოსვლისთანავე მისი მიზანი გახდა თავისუფალი, დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო. ეს რა თქმა უნდა, ცარიელი სიტყვებია, ხოლო მოქმედებით კი იგი კვლავ ისე მოქმედებს, როგორც ნაბრძანები აქვს კრემლიდან. ამის დამადასტურებლად აქციის მონაწილეებმა მოიყვანეს შევარდნაძის ამერიკაში ნასვლის მაგალითი, როდესაც მას შესთავაზეს აფხაზეთის დარეგულირების 5 ვარიანტი, საიდანაც მან აირჩია მაინცდამაინც ის გზა, რომელიც ყველაზე მეტად აწყობდა რუსეთს.

ქ-ნმა ანა ჭავჭავაძემ დამსწრე საზოგადოებას ამცნო იმის შესახებაც, რომ ჰელსინკის კავშირის მონაწილეებს შეუერთდა ლალი ლომაძე, რომელიც შიმშილობდა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში, სანდრო კვასაძის კაბინეტის წინ, მოითხოვნით — ნეკი ჭანტურიას სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება! ქ-ნმა ანამ თქმით, სანდრო კვასაძემ დაიბარა მოშიმშილე ლალი ლომაძე, რომელიც მისი კომიტეტის თანამშრომელია, გალანძღა, საშსახურიდან გაძევებით დაემუქრა და უთხრა; რომ იგი არ დაინდობდა კაცს, რომელსაც ბრალად ედება კვასაძის მოტაცება და საერთოდ, პატიმრის დაცვა მისი კომიტეტის კომპეტენციაში არ შედის, რომ მას ეს საქმე პირადად არ ეხება და აღნიშნული პრეტენზიებით მოშიმშილეს უნდა მიემართა შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, რის შემდეგაც ქ-ნმა ლალი ლომაძემ შიმშილობა კოსტავას ეზოში, სხვა აქციის წარმომადგენლებთან ერთად განაგრძო.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ აქციის მონაწილეთა ერთ-ერთი მოთხოვნა აღნიშნული კომიტეტის გაუქმებაც ვინაიდან იგი წარმოადგენს სრულ ფიქციას, არსებული ხელისუფლების კოსმეტიკის ერთ-ერთ საშუალებას და ნიღაბს.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რა ინფორმაციები გააჩნათ ზვამსახურდიას ოჯახის ან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების ადგილსამყოფელის შესახებ, მათ უპასუხეს, რომ ქ-ნი მანანა არჩვაძე თავისი ორი პატარა შვილით იმყოფება გროზნოში, სადაც განიცდის დიდ გაჭირვებას. მათვე აღნიშნეს, რომ გუშინ ჰელსინკის კავშირმა გაუგზავნა მმართველ გერის, სადაც ითხოვენ გამსახურდიას ოჯახისადმი ხელშეუხებლობის გარანტიას, ხოლო რაც შეეხება განდევნილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისინი ეფუნტულნი არიან ზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში. მაგ. მედეა თუშმალიშვილი ამჟამად იმყოფება პარიზში, ექსარქმერი ბესარიონ გუგუშვილი — ოჯახითურთ ლიტვაში, ხელისუფლების პრეზიდიუმის დიდი ნაწილი ფინეთში და ა.შ.

დასასრულს, აქციის მონაწილეებმა იქ მყოფთ კიდევ ერთხელ შეგვახსენეს თავიანთ მოთხოვნების შესახებ, რომ მათი პოზიცია ურყევია, რომ მრგვალ მაგიდაში არ არსებობს ა'ხრთა სხვადასხვაობა, რომ მათში მუდამ არის ურთიერთგაგება, თავიანთი პრინციპების გატანა და ერთგულება. მათ ჟურნალისტებს სთხოვეს მეტი ყურადღება დაუთმონ პოლიტპატიმრების მდგომარეობას, ობიექტურად გაშუქონ და მეტი სერიოზულობით მოეკიდონ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს.

ირმა ლომაური

კრიტიკა

ამხანაგო მორჩარეტო, შენ ჩვენთვის რა გატირებდა?..

„ბავშვები იხოცებიან ჩუმად. თუ მათ არ გამოკვებავენ ერთი დღე — ისინი ტირიან, ითხოვენ საჭმელს. ცხიმგარეულ პურისა და ფაფის ნაცვლად სთავაზობენ „ჩაის“ — უბრალოდ ანადუღარ წყალს, ჩაის ნაყენისა და შაქრის გარეშე. რამდენიმე დღე ასეთი „კვება“ და ბავშვები სამუდამოდ დუმდებიან!...

„ოსვენციმი უფრო ჰუმანური იყო — აღნიშნა ერთმა ქართველმა პარლამენტარმა, ამ დღეებში ქ.კასპის ბავშვთა სახლი რომ ინახულა, რომელიც თბილისიდან ერთი საათის სავალზე მდებარეობს, — იქ ხალხს სწრაფად და უმტკივნეულოდ ხოცავდნენ. ასეთი სიცოცხლის სიკვდილი ხსნაა“.

ასეთი წანამძღვარი ერთვის გაზეთ „არგუმენტსა და ფაქტში“ (№— 39, სექტემბერი, 1994 წ.) გამოქვეყნებულ სტატიას „საქართველო: იხოცებიან ბავშვები“, რომელსაც ვინმე იგორ მორჩარეტო აწერს ხელს. მარტო ეს წინასიტყვაობა გაუყინავს ძარღვებში სისხლს ყველა ნორმალურ ადამიანს, რომ აღარაფერი ვთქვათ თვითონ წერილზე.

სახეში სილის გაწვნახ ჰგავდა გაზეთ „არგუმენტსა და ფაქტში“ გამოქვეყნებული მასალა. უცაბედად გამოგვაფხიზლა ყოველდღიური რუტინისაგან, თორემ ცოდვა გამხელილი სჯობს და ვინ იცის, თავად როდის მოვიფიქრებდით სნეული ბავშვების მონახულებას კასპის რ-ნის სოფელ ახალქალაქის ინვალიდ ბავშვთა სახლში.

ეს სახლი 1938 წლიდან არსებობს. აქვს სავსებით გამართული ოთხი კორპუსი, ამჟამად მომცრო შენობაში არიან, ზამთარში უკეთ რომ გაათბონ, თანაც სხვა კორპუსებს ცოტა შეკეთება სჭირდება (გვარდია შეპირებულა ამ საკითხის მოგვარებას). კორპუსებს კარგად გამწვანებული ფართო ეზო აკრავს, სწორედ აქ ვიხილეთ ბავშვთა სახლის ბინადარნი. როგორც აღვნიშნე, ამ სახლს ინვალიდ ბავშვთა სახლი ჰქვია და მართლაც, აღსაზრდელების უმეტესობას გონებრივად, ფიზიკურად თუ სულიერად დაავადებული პატარები წარმოადგენენ. მშობელი თითქმის ყველას ჰყავს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა წარმოშობა არავინ უწყის, სახელი და გვარიც კი ადმინისტრაციამ დაანათლა. გულდამძიმებულნი შევედით ბავშვთა სახლის ეზოში, მაგრამ ამ თავშესაფრის საბრალო გონებაჩლუნგ არსებებს მოწყენა ვერ შევატყვეთ. მათ არც თავის მძიმე ხვედრისა გაეგებათ რამე და არც რთული ეკონომიკური პრობლემები ადარდებთ. სხვის გამონაცვალ ბინძურ სამოსში გახვეული, ჭუჭყიანი ბავშვები სტუმრების მისვლამ გაახალისა. ცდილობდნენ ჩვენს ახლოს ეტრიალათ ან ხელით შეგვხებოდნენ. ერთმა, როგორც შეძლო, ლექსი გვითხრა და იმღერა კიდეც. სწორედ სადილის დრომ მოაწია და მათი საზრდელიც ვიხილეთ. დილას თურმე ფაფას მიირთმევენ, სადილად წვნიანი და პური ერგებათ, საღამოს — ჩაი. ძნელია იმ წვნიანს, საკუთარი თვალით რომ ვნახეთ, კაცმა მადის აღმძვრელი უწოდო, ვერც პური იყო კარგი შეფერილობის (პურის უხარისხობა საერთო ჭირია), მაგრამ საბრალო ბავშვებმა მორჩილად მიირთვეს. შენობაში (სადაც ამჟამად ცხოვრობენ პატარები) მძიმე, სიბინძურისათვის დამახასიათებელი სუნი იდგა, თუმცა უწესრიგობა ნამდვილად არ სუფევდა, მაგრამ ჩანს, საფუძვლიანი წმენდა-ხეხვისათვის არავის სცალია. ისე, საგნებს არა უშავდა რა, თეთრეულშიც იყო გამოკრული და თბილიც ჩანდა, სითბოზე გამახსენდა და ბავ-

გაგრძელება მე - 6 გვ

მთაწმინდა გულში იხუტებს

უჩვეულო იყო 1994 წლის 18 ოქტომბერი მთაწმინდაზე — ამ დღეს, სამშობლოსაგან 160 წლის განშორების შემდეგ მთაწმინდის წმინდა მიწა სამუდამოდ გულში იხუტებდა სამშობლოს თავისუფლებისათვის მსხვერპლად შეწირულს, 1832 წლის შეთქმულების აქტიურ მონაწილესა და იდეურ ხელმძღვანელს სოლომონ დოდაშვილს (1805-1836).

ჩვენთვის ასე მძიმე დროს, სოლომონ დოდაშვილის გადმოსვენების ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ ადრე თუ გვიან, ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის, ყველას თავისი მიეგება. თვით ეს ფაქტი და სოლომონ დოდაშვილის მოწამეობრივი ღვაწლის კიდევ ერთხელ გახსენება, იქნებ აღნიშნული კუთხითაც ჩაფიქრებს თანამედროვეებს.

დამპყრობელი ქვეყნის შესაბამისი სამსახურის მესვეურებმა კარგად უწყოდნენ, თუ რა საშიშ ძალას წარმოადგენდა იმპერიის ექსპანსიური და კოლონიური პოლიტიკისათვის სამშობლოს განთავისუფლების იდეით გამსჭვალული ევროპული განათლების სოლომონ დოდაშვილი. სწორედ ამიტომაც დაისაჯა ის გამორჩეულად: ისედაც ჯანმრთელობაშერყეული პატრიოტი ქართველი ჩრდილოეთში — მკაცრი კლიმატური პირობების ვიატკის გუბერნიაში გაამწესეს საჯელის მოსახდელად, საგანგებო პირობებითა და განსაკუთრებული მეთვალყურეობაც დაუწესეს. ყველაფერი ეს კარგად ჩანს ამ საქმესთან დაკავშირებით ვიატკის გუბერნატორისადმი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის საიდუმლო წერილიდან, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რა მძიმეა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა ხვედრი.

მეხეილ მახარაძე.

ПОЛУЧЕНО 1 АВГУСТА 1834 Г.

Господину Вятскому гражданскому губернатору

№ 69

Министерство внутренных дел по секретной части 12 июля 1834 года

№ 96

Государь император по рассмотрению одного важного военносудного дела о Соломоне Додаеве, производившегося в Тифлисе, к кому прикосновен был в числе прочих бывший учитель Тифлисской гимназии 10 класса Соломон Додаев, высочайше повелеть соизволил: лишить его классного звания и определить на службу низшим канцелярским служителем в одной из северных губерний до отличной выслуги не прежде однакоже 10 лет, воспретив навсегда возвращаться в Грузию.

О сей высочайшей воле г. военный министр сообщил господину командиру отдельного Кавказского корпуса, который ныне уведомляет, что помянутый Соломон Додаев будет в непродолжительном времени выслан в г. Вятку.

Сообщая об этом вашему превосходительству, я прошу вас, милостивый государь, по прибытии из Тифлиса Соломона Додаева в г. Вятку, определить его по усмотрению вашему на службу низшим канцелярским служителем и учредив за всеми действиями его тайное, но бдительное наблюдение, доносить мне от времени до времени о его пребывании и образе жизни.

Подлинное подписал: министр внутренных дел статс-секретарь Д.Блудов.

სოლომონ დოდაშვილი
თხზულებანი, თბ. 197
გვ. 365-366

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

დავით ბერძენიშვილი: მაფიოზური კლანური ჯგუფები ემზადებიან მომავალი არჩევნებისათვის

— ბატონო დავით, ზოგადად როგორ ახსნიდით იმ დამარცხებათა წყების მიზეზებს, რამაც საქართველოს დღევანდელი ყოფა განაპირობა?

— ბოლო წლებში საქართველოს პოლიტიკურ წრეებში მიმდინარეობს დისკუსია, ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის შესაბამისი კურსის შესაბამისი ქმედებების შესახებ. რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ სახელმწიფო საბჭოში, შემდეგ საქართველოს ახლადარჩეულ პარლამენტში, არაერთხელ გამოგვითქვამს აზრი, რომ ქვეყნის სუვერენიტეტის უზრუნველყოფის ძირითადი ფაქტორი უნდა ვეძებოთ საშინაო რეზერვებში. საქართველოს ხელისუფლებამ სახელმწიფო სუვერენიტეტის უზრუნველყოფის ძირითად სფეროდ განსაზღვრა საგარეო პოლიტიკა და საგარეო ფაქტორებით აპირებდა ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვას. თავიდანვე მცდარი იყო ეს კურსი, რადგან, ერთის მხრივ, საგარეო ფაქტორებში რუსეთი ბევრად უფრო მძლავრი იყო, ვიდრე დასავლეთი. როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით მას მეტი საშუალება ჰქონდა საქართველოსათვის ხელი შეეშალა, ვიდრე დასავლეთს ხელი შეეწყო საქართველოსათვის. ამასთანავე ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ანტირეფორმული იმიჯი შექმნოდა საქართველოს. დასავლეთი იმ სფეროებშიც ვერ შემოვიდა, რომელიც, ასე თუ ისე, ნებადართული იყო რუსეთის მიერ. ეს იყო ეკონომიკური სფერო. საგარეო ფაქტორებზე ორიენტირებამ მოგვცა ლოგიკური შედეგი. რუსეთის შესაძლებლობები, რაკი ბევრად მეტი იყო, ვიდრე დასავლეთის, რუსეთმა განსაზღვრა ჩვენი სუვერენიტეტის, ჩვენი სახელმწიფოებრიობის საკითხები. მცდარი იყო ის შეხედულება, რომელსაც მიზანმიმართულად ატარებდა ბატონი შევარდნაძე და გუნდრუკს უკმევდა მისი გუნდი, რომ რუსეთის მეშვეობით შეიძლებოდა საქართველოს საშინაო პრობლემების დაძლევა.

ჩვენ ყოველთვის ვეუბნებოდით დღევანდელ ხელისუფლებას, რომ რუსეთის მიერ შექმნილი საქართველოს საშინაო რეგიონალური, პოლიტიკური, სამხედრო, შინანსური პრობლემების დაძლევა მათივე მეშვეობით არ შეიძლებოდა, რადგან რუსეთი ჩვენი მოწინააღმდეგეა და არა პარტნიორი.

ასე რომ, შედეგი მივიღეთ ისეთი, რომლის პროგნოზირებაც ძნელი არ იყო. მისი პროგნოზირება მხოლოდ მსოფლიო დონისად მიჩნეულ პოლიტიკოსს — შევარდნაძეს უჭირდა.

— კონკრეტულად, რაში გამოიხატება რუსეთის ნეგატიური როლი საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ცხოვრებისათვის?

— რუსეთმა შეგვიქმნა უმძიმესი პირობები და ეს პირობები მშვენივრად გამოიყენა საქართველოს დასაჩოქებლად, რომ საქართველო ხელახლა ჩავარდნოდა ხახაში რუსეთის მზარდ იმპერიას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის მექანიზმები, რომელსაც რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები, როგორც პარლამენტის სხდომებზე, ისე პრესაში ვთავაზობდით სახელმწიფოს მეთაურს. ეს არის საქართველო აზერბაიჯანის დაახლოება, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისითაც. რომ არა ყარაბახის მოდელის გათამაშება, საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს შეეძლებოდა ისევე ერთიანი და მძლავრი მექანიზმები და ბერკეტები შეექმნა რეგიონში შემავალი რუსეთის კლანჭებიდან დაძრომისათვის, როგორც ეს ბალტიის რესპუბლიკებმა მოახერხეს. მაგრამ რუსეთმა ჩადო ნაღმი ყარაბახში და სომხეთის მეშვეობით მან მოახერხა აზერბაიჯან-სომხეთის წასისინება და ყარაბახის მთელი ეს ეპოპეა, ტრაგიკული აღმოჩნდა მთლიანად ამიერკავკასიისათვის.

ყარაბახი მოისინჯა, ეს მოდელი შემუშავდა მოსკოვში და ოდნავ განსხვავებული მოდიფიკაციით გაიმეორეს ცხინვალში, აფხაზეთში, დნესტრისპირეთში, გაგაუზიაში, ამის მცდელობა მიმდინარეობს ყირიმში და აშკარა არის, რომ რუსეთმა კურსი აიღო და ჯერ-ჯერობით წარმატებულია ეს კურსი. სადაც იყო ავტონომიები, ამ ავტონომიებს იყენებს იგი დამოუკიდებლობის მოსურნე სახელმწიფოთა წინააღმდეგ. სადაც არ იყო, შექმნა ასეთი პირობები: ავტონომიურად და სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად განაგებენ მათი სატელიტების მეშვეობით ამ ტერიტორიებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, აშკარა იყო და რჩება, რომ

რუსეთისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს საქართველო მის მიმართ ლოიალური იქნებოდა, მისი სატელიტი გახდებოდა, თუ ეცდებოდა რუსეთისაგან რაც შეიძლება უფრო განცალკევებას და პერსპექტივაში რუსული სივრციდან გამოსვლას. რუსული პოლიტიკა საქართველოს მიმართ რჩება ურყევი. მას ლოიალური საქართველო სანდოდ არ მიაჩნია. ამიტომ რუსეთი ცდილობს, რომ ბათუმი, სოხუმი, ცხინვალი და სხვა ცენტრები აკონტროლოს საქართველოს ხელისუფლების გარეშე და საქართველოს ფედერალიზაციის ფონზე, რეალურად კონფედერაციულ საწყისებზე.

ფორმალურად გაერთიანებულ ერთიან ქვეყანაში, საქართველოში მას ჰქონდეს კონტროლის დამოუკიდებელი მექანიზმები, თბილისში, სოხუმში, ცხინვალში, და კიდევ სხვა რეგიონებში. თუ იგი ამის საჭიროებას დაინახავს და თუ საქართველოს ხელისუფლების მორიგი შეცდომები ამის შესაძლებლობებს მისცემს. ჩვენ ვდგავართ ქვეყნის არა მხოლოდ ფედერალიზაციის გზაზე, არამედ რეალურად დანაწევრების გზაზე.

— ნუთუ ავი მეზობლის ამგვარ სურვილებს საქართველოში ვინმე აჰყვება?

— ქვეყანაში მიმდინარეობს საკონსტიტუციო პროცესი და საკონსტიტუციო პროცესში ჩანს, რომ როგორც რესპუბლიკელების მიერ შეთავაზებული პროექტი, ისე სხვა პროექტები და ამ პროექტების შეჯერების შედეგად მიღებული პროექტი მიუღებელი არის რუსეთისათვის. იქ არ

საინტერესოა, აჭარის ტელევიზიით გაშვებული ფირი, სადაც ვინმე საითაძე ამბობს, რომ მას დათო ბერძენიშვილმა დაავალა ასლან აბაშიძის მოკვლა. ეს შორს გამიზნული გეგმის ერთ ნაწილადაც უნდა განვიხილოთ. ეს საითაძე არის კაცი, რომელიც პართველ ტყვეებს აწამებდა გუდაუთაში. ეს კაცი აბაშიძის წარმომადგენლებს, ბადრი მელაძეს და ბადრი ნაკაიძეს შარშან გუდაუთის ხელისუფლებამ გადასცა და ახლა ის იმყოფება ბათუმში. ეს ვიდეოფილმი არსებობს. ამ კაცს აქვს სამშობლოს ღალატის მუხლი და თავის დასაცავად ლებულობს იმ შეთავაზებას, რაც აჭარის ხელმძღვანელობისაგან მოდის.

უკვე გამოთქვეს დიდი პრეტენზიები აჭარის ხელმძღვანელებმა და მისმა იურიდიულმა ექსპერტებმა აჭარის მოსალოდნელი სტატუსის მიმართ და არის პირდაპირი მუქარა, რომ თუ აჭარის სტატუსი არ იქნება ისეთი, როგორიც აწყობს რუსეთს, მაშინ რუსეთის დუმა არ მისცემს რატიფიკაციას რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებებს. და, საერთოდ, გართულდება ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის. პირდაპირი მოთხოვნა არის საქართველოს ფედერალიზაცია და აჭარის საქართველოს ფედერაციის სუბიექტად ქცევა. ეს მოთხოვნა გამოიხატა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მრჩევლის, იურისტ ასლან აბაშიძის ბოლო გამოსვლებში, როგორც ტელევიზიით ისე პრესაში. ამ ფონზე საინტერესოა აბაშიძის უკანასკნელი ქმედებანი.

— ბატონი ასლანი როგორ რეაქციას უკეთებს თქვენს გამოსვლებს?

— ამ მხრივ

აჭარის ტელევიზიით გაშვებულმა ამ ფირმა ჩვენთვის სასარგებლო რეაქცია გამოიწვია. ეს არის, აჭარის ხელისუფლების მიერ შეთითხნილი მორიგი შასალა იმისათვის, რომ რესპუბლიკელთა აქტიურობა ბათუმში მაღალი არ იყოს. ეს უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციის საკითხებს, აჭარის სტატუსს და ბათუმში რუსეთის მაღალი დონის დელეგაციის ყოფნას. ლისენკოს ბათუმში ჩასვლისთანავე დაიწყო ისტერია, რომ საქართველოს შეიარაღებული რაზმები აპირებენ შესვლას აჭარაში. შემდეგ საქართველოს შეიარაღებული რაზმები გამოცხადნენ ზვიადის რაზმებადაც. თუმცა ამისათვის საქართველოს ხელისუფლებას საკადრისი პასუხი არ გაუცია.

ერთადერთი რეალური ძალა, რომელსაც შეუძლია ამხილოს ანტი-

სახელმწიფოებრივი ქმედებები აჭარის ხელისუფლებისა, არის რესპუბლიკური პარტია. აგრეთვე, ჩვენი ფრაქციის გარდა, კიდევ ერთი ჯგუფი აჭარის შერჩეულ უზენაეს საბჭოში და სწორედ ამ ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული აბაშიძის ქმედებები. ჩვენი პარტიის იქაურ ორგანიზაციებს დაცვის მექანიზმი არა აქვს და უშუალოდ გვიწევს ყოველგვარი პარტნიორის გარეშე აბაშიძის რეჟიმთან დაპირისპირება. მაგალითად, ქობულეთში არ აძლევენ საშუალებას რესპუბლიკური პარტიის წევრს იმედო ხაჯიშვილს, რომ იაქტიუროს. ქობულეთის ხელისუფლება სპეც-სამსახურიდან დაწყებული და გამგებლის მოადგილით დამთავრებული, ყველა გზას ულობავს ამ კაცს. ის პედაგოგია და გაკვეთილებზეც არ უშვებენ. ქობულეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ არ დაუშვებს რესპუბლიკელთა აქტივობას ქობულეთში. ლაპარაკი არის პრაქტიკულ საქმიანობაზე და აქტიურობა გამოიხატება კანონის შესაბამისად. ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ იწყება მორიგი ეტაპი საქართველოს ხელისუფლების და საქართველოს ერთიანობის საწინააღმდეგო ქმედებებისა ბათუმში და არის მცდელობა, რომ მტრის ხატად კვლავ რესპუბლიკელები და მათი ხელმძღვანელები გამოჩნდნენ. ამიტომ არის, რომ ასეთი ცილისწამებები გრძელდება და უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს.

— ბატონო დავით, დავუბრუნდეთ მსჯელობას ახლო მეზობლებთან დაკავშირებით. ვის ანიჭებთ პრიორიტეტს უახლოეს ქვეყნებთან ურთიერთობებში?

— ჩვენ არაერთხელ გვითქვამს საპარლამენტო სხდომებზე და პრესაშიც, რომ არ ხერხდება საქართველო, აზერბაიჯან — სომხეთის მონოლითური შეკავშირება. საქართველო, აზერბაიჯანი უნდა იყოს ის ყელი, რომელიც ორივე ქვეყანას დამოუკიდებლობის შენარჩუნების საშუალებას მისცემს. თავისთავად, საქართველო — აზერბაიჯანის დაახლოება საკმარისი არ არის ამ ორი ქვეყნის გადასარჩენად, მაგრამ თუ ის დაახლოება იქნება განსაზღვრული იმ დერეფნის ფუნქციაში ცენტრალური ადგილით, რომელიც მოსალოდნელია თურქეთიდან გავიდეს შუა აზიისაკენ, აი, მაშინ საქართველოს ეკისრება უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. საქართველო - აზერბაიჯანის ერთობა - ჩვენ ამის შესახებ გვითქვამს საპარლამენტო სხდომაზე - გაზეთ „საქართველოშიც" დაგვიწერია. ეს ერთობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ უმჭიდროესი ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის კავშირით არა მარტო ერთმანეთს შორის, არამედ კავშირებით თურქეთთან და შუა აზიის თურქულენოვან სახელმწიფოებთან. ჩვენს ამ ინიციატივას თავის დროზე მოჰყვა შეფასებები პრესაში. ორი წერილი მიეძღვნა „საქართველოს რესპუბლიკაში", რომელთა შინაარსი დაახლოებით ასეთია, რომ ოპოზიციიდან გამოიკვეთება საკუთარი ინტელექტუალიზმით რესპუბლიკური პარტია, მაგრამ აი ეს მათი მიდგომაც ძალიან სახიფათოა. საბოლოო ჯამში შეიძლება გამარჯვებით დაგვირგვინდეს, თუ ამ კურსს მივყვებით, მაგრამ ამას მოჰყვება იმდენი მსხვერპლი, რომ ის გამარჯვება დამარცხების ტოლფასი იქნება. ძალიან სკეპტიკურად იყო განწყობილი საქართველოს ხელისუფლება იმ შესაძლებლობების მიმართ, რაც აზერბაიჯანს გააჩნდა, რადგან ნავთობის უდიდესი მარაგის მოპოვებისათვის აზერბაიჯანს ჭირდებოდა დასავლეთის უმსხვილეს კომპანიებთან კონტრაქტი და ამ კონტრაქტს შეეწირა ელჩიბეის ხელისუფლება. ახლაც, როცა 20 სექტემბერს ალიევმა მოახერხა ფილიგრამული ტექნიკით კონტრაქტის ხელმოწერა, რუსეთის მხრიდან დაიწყო საშინელი არადიპლომატიური აღვირახსნილი კამპანია აზერბაიჯანის წინააღმდეგ. შემდეგ დაიდგა იგივე სცენარით განჯის ალების მცდელობა. აზერბაიჯანში მოკლეს ვიცე-პრემიერი. იყო მცდელობა არეულიყო აზერბაიჯანი, მაგრამ არ მოხერხდა სამოქალაქო ომად გადაზრდა. აზერბაიჯანის მოსახლეობამ და აზერბაიჯანის პოლიტიკურმა ელიტამ ოპოზიციის ჩათვლით, მხარი დაუჭირა მის ხელმძღვანელს ალიევს, რომელშიც იგი ხედავს აზერბაიჯანის სუვერენიტეტის გარანტს თანამედროვე ეტაპზე.

ალიევი არ აღმოჩნდა რუსებისათვის ისეთი მისაღები კაცი, როგორც თავიდან ეგონათ. ასეთი კაცი მათ ჰყავთ მუტალიბოვის სახით მოსკოვში, რომლის შესაძლებლობები აზერბაიჯანში ძალიან მცირეა.

1992 წელს აზერბაიჯანის ხელისუფლება ხელში ჩაიგდო მუტალიბოვმა. ბ-ნი შევარდნაძე მიესალმა ამ ფაქტს, ეს ხელისუფლება რამდენიმე საათი არსებობდა. მუტალიბოვი რუსეთის მეშვეობით აპირებდა გადატრიალების მოწყობას აზერბაიჯანში. ამ საკითხისათვის ჩვენ მაშინ ყურადღება არ მიგვიქცევია იმდენად, რამდენადაც ჩვენს ინტერესებში არ შედიოდა. სახელმწიფო საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე ასეთ ექსტრავაგანტურ სვლებს აკეთებდა აზერბაიჯანის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. სწორედ ეს ის დროა, როცა დაგომისის ხელშეკრულება იდება. შევარდნაძე უკვე ავლენდა რუსეთის მეშვეობით საქართველოს საშინაო საქმეების მოგვარების კურსს და მისთვის მისაღები პარტნიორი ერჩია აზერბაიჯანში და არა არაკომუნისტური წრეებიდან წამოსული ელჩიბეი.

ეს იგივე სცენარით იყო დაგეგმილი, რაც თბილისში მოხდა, მაგრამ ელიტას და მოსახლეობას ეყო ჭკუა, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. ელჩიბეი უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი განსვენებული პრეზიდენტი და ალიევიც უფრო არარუსული ორიენტაციის აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი სახელმწიფოს მეთაური.

ამ თვალსაზრისით აზერბაიჯანის მდგომარეობა ბევრად უკეთესია.

— ამას წინათ თურქეთში ბრძანდებოდით საპარლამენტო დელეგაციის წევრად. იქაური შეხვედრების შესახებ რას გამოიტანთ პრესის ფურცლებზე?

— თურქეთში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციაში ყოფნისას მე მქონდა შეხვედრა აზერბაიჯანის ელჩთან. ეს იყო შეხვედრა ერთი ერთთან. მეც და ელჩიც სრულიად თანხვედრ პოზიციებზე ვიდექით საქართველოში ცხინვალის და აფხაზეთის პრობლემების შეფასებაში. ასევე იმაში, რომ აზერბაიჯანი სწორად იქცევა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტერიტორიის 25% ოკუპირებულია, უარს ამბობს სხვა ქვეყნის მიერ ყარაბახის სტატუსის განხილვაზე მანამ, სანამ საოკუპაციო ჯარები არ დატოვებენ აზერბაიჯანის ტერიტორიას.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ იგივე პოზიციის გატანა, როცა გამოვდიოდით რუსის ჯარის ენგურზე ჩაყენების წინააღმდეგ. დღეს უკვე შედეგი აშკარაა, რომ რუსის ჯარის იქ დადგომამ ჩვენ უკანასკნელი პლაცდარმი, კოდორის ხეობა ეჭვის ქვეშ დაგვიყენა. ჩვენი ხელისუფლება ფორმალურად მისი ხელმოწერის გამო ვალდებულია გამოიყვანოს იქიდან ქართული შეიარაღებული რაზმები. ეს ძალიან დიდ პრობლემებს ქმნის.

რაკი არ ხერხდება სომხების რუსეთზე ასე ღია ორიენტაციის გამო მთლიანად ამიერკავკასიის ერთიან რეგიონად გამოსვლა რუსული სივრციდან, ეს მიმართულებები უნდა იყოს საქართველო აზერბაიჯანის ხიდის მიმართულებები. მთავარი ინტერესები, რის გამოც მე ვითხოვე ელჩთან შეხვედრა, ის იყო, გამერკვია, რა შანსები გვაქვს ჩვენ აზერბაიჯანის ნავთობის სატრანზიტო გზად რომ ვიქცეთ. აქვე მინდა ვთქვა, როცა ამოდენა პროექტი მზადდებოდა, სადაც დასავლური ფირმებისა და აზერბაიჯანის გარდა ჩართული არის თურქმენული ფირმა, რუსული ფირმაც, ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ამ პროცესში არ ჩართულიყო და წილი არ გვქონოდა თუნდაც მინიმალური 1%-ის სახით. ამდენად, ჩვენ დავკარგეთ ჩვენი ხელისუფლების უნიათობის გამო ეს შესაძლებლობა. ერთადერთი იმედი არის ტრანსპორტირება. არის 3 რეალური ვარიანტი. რუსეთზე გავლით მილსადენი ნოვოროსიისკში, საქართველოზე გავლით ბათუმი-ფოთი-თურქეთი, მესამე, ირანზე გავლით თურქეთში. აზერბაიჯანს და დასავლურ კომპანიებს ძალიან აშინებს რუსების მიერ მთლიანად კონტროლირებად ტერიტორიაზე ნავთობის ტრანსპორტირება. თუ ბათუმში და ფოთში იქნება რუსის ჯარი და რუსის ჯარს ექნება საშუალება მთლიანად გააკონტროლოს ტერიტორია, მაშინ ძალიან შემცირდება შანსი იმისა, რომ ჩვენზე [illegible] მილსადენი. აქ ლაპარ[illegible] ეკონომიურ და ფინანსურ მოგებაზე: ნავთობის მოპოვებით აზერბაიჯანი მიიღებს მოგებას ორ მილიარდ დოლარს. ეს არის ის შესაძლებლობა, რომელიც არჩენს ორივე ქვეყანას, ამბობს ბატონი ელჩი.

— არის გამოსავალი? ახლა ყოველი შემხვედრი მოკითხვის ნაცვლად კითხულობს — გეშველება რამე? იქნებ ისევ არჩევნების იმედზე უნდა ვიყოთ, რომ ქვეყნის სასიკეთოდ რაიმე შეიცვალოს?

— ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას არჩევნების პრობლემა, აშკარაა, რომ ერთი წლის შემდეგ, რაკი არჩევნები კანონიერად უნდა ჩატარდეს, დღეს დაიწყეს საარჩევნო მზადება არა მხოლოდ პოლიტიკურმა პარტიებმა, არამედ მაფიოზურ კლანურმა დაჯგუფებებმა.

შეიქმნა ორგანიზაცია „არჩევნების" სახელწოდებით, სადაც განსაკუთრებული ორიენტაციის ხალხი არის თავმოყრილი. მათ საკმაოდ მძლავრი ბერკეტები აქვთ საქართველოში ჯაბა იოსელიანის ხელმძღვანელობით. ეს ხალხი ყოველნაირად ეცდება, რომ საარჩევნო კომპანია მისთვის სასარგებლოდ წარმართოს და საკუთარი, დღეს მოპოვებული უფლებები და შესაძლებლობები განამტკიცოს, მომავალ პარლამენტში ჯაბა იოსელიანის წარმატებები საქართველოს ინტერესების საზიანოა.

ასევე მზადება დაეტყოთ მაჟორიტარ დეპუტატებს, მათ კონკურენტებს ადგილებზე,

მცდელობაა, საქართველოს პარლამენტში რაიონიდან ისევ კომუნისტური წარმომადგენლები გავიდნენ, რომლებიც იშვიათი გამონაკლისის გარდა, გადაჯაჭვულნი არიან ადგილობრივ მაფიოზურ დანაშაულებრივ კლანებთან.

ჩვენი სამი ორგანიზაციის გაერთიანება იმის შანსს იძლევა, რომ საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია სწორედ ის ძალა იყოს, რომელიც მოსახლეობაში აღიქმება, როგორც შევარდნაძესთან დაპირისპირებული მთავარი ოპოზიციური ძალა. მას ბევრად მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე ნებისმიერ სხვა ორგანიზაციას, რათა მთელი მისი შესაძლებლობები წარმართოს იქითკენ, რომ არჩევნებში გარკვეული წარმატებები ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს სუვერენიტეტის ის ნარჩენები, რაც დღეს გვაქვს, დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგება.

— გმადლობთ.

ესაუბრა
ნინო ზამთარაძე

მეექვსე გვერდიდან.

შვებს თბილი ტანსაცმელიც ეშოვებათ, ესაა რომ ყველაფერს მზრუნველი ხელი აკლია, ოჯახში რომ იგრძნობა — ისეთი. ძნელია, ვინმეს მოსთხოვო ფუფუნებასა და იდეალურ პირობებში ამყოფონ ეს ბავშვები, როცა ფაქტურად ბრავითარი სტაბილური შემოსავალი არ გააჩნიათ ბავშვთა სახლის მესვეურთ. სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, რომელზეც წლების მანძილზე დამოკიდებული იყო ხსენებული დაწესებულება, ველარაფრით ეხმარება მას, ამიტომ ადმინისტრაცია იძულებულია კარდაკარ იაროს რაიონულ ცენტრში დახმარების სათხოვნელად. ვინ საწვავს მისცემს, ვინ დააფინანსებს, ვინ პროდუქტს მიაწვდის. გამოდის, რომ ეს თავშესაფარი თითქმის შიშველ ენთუზიაზმზე არსებობს. მომსახურე პერსონალის ხელფასი 280000 კუპონს შეადგენდა, გაზრდილი თანხა არციციან, ჯერ არ აუღიათ, საერთოდ, ხელფასის აღების დრო საკმაოდ ბუნდოვანია. ძნელია ვინმეს უკიჟინო ისეთი ავადმყოფი ბავშვების მოვლა-პატრონობა, მშობლებიც რომ ვერ უვლიან, დაბადებიდან სხვისი ცოდვის ზიდვა რომ დაეკისრათ, მაგრამ ღმერთი არ დაგდებს უპატრონოდ თავის გაჩენილს. ავად თუ კარგად, ხომ გააჩნიათ ბავშვებს თავშესაფარი, დღეს ვის გაუკვირდება ინვალიდ ბავშვთა გაუკეთებლობა? ოთხი მათგანი მძიმე ავადმყოფია, წლობით არიან საწოლს მიჯაჭვული და არც მომავალში უჩანს მათ მდგომარეობას სასიკეთო პირი, მთელი წლის მანძილზე გარდაცვლილა (თავისივე სნეებით) 20 ბავშვი, ცხედრის ჩასასვენებელი ჭურჭელიც დიდი ფუფუნებაა, მიუწვდომელია და ძველი ავეჯისაგან შეკეთილი სასახლეო, გვითხრა ბავშვთა სახლის დირექტორმა — ქალბატონმა ციალა თარხნიშვილმა. ძალზე მწვავედ დგას პურისა და საწვავის პრობლემა.

ბავშვთა სახლს სისტემატიურად აკითხავს ექვსი რუსი მონაზონი თბილისიდან საკუთარი საკვებით (თუ არ ვცდები, კვირაში ერთხელ). უმზადებენ ბავშვებს სადილს, ასუფთავებენ, უცვლიან— ზრუნავენ ყოველნაირად. დახმარებას ადგილობრივნი, გორისა თუ კასპის მკვიდრნიც უწევენ, დიდი ამაგი აქვს ამ ბავშვებზე თვითონ სოფელს. შედარებით გონიერი აღსაზრდელები სოფლის სკოლაში ადგილობრივ ბავშვებთან ერთად დადიან, არც დაცინვა უგრძვნიათ ვინმესგან, არც სიძულვილი. პირიქით, სოფელში გამოსულ ბავშვებს (ვისაც შედარებით გონება უჭრის) მცხოვრებნი სახლის კარებს ულებენ, აჭმევენ, აცმევენ (თუნდაც გამონაცვალს), თბილად ეპყრობიან. (ეს თავად ბავშვებისაგან მოვისმინე). დირექტორს დიზელ-გენერატორიც კი დაუმონტაჟებია, უპირველესი პრობლემა საწვავია, თუ საწვავი იქნა, ბევრ რამეს მოევლება.

ბავშვთა სახლს ამერიკული ასოციაცია „ფრენ კიც“ ეხმარება. უგზავნიან საკვებს, თბილ ჩასაცმელს, ერთხელ სადილ ტომრებიც მიართვეს, რომლებიც სულ მალე უკვალოდ გაქრა. ვის სინდისზეა ეს ამბავი — გაურკვეველია. დანარჩენი ჰუმანიტარული დახმარება არ ასაკმარისია სწორ გზასა — გვარწმუნებდნენ, იმედი ვიქონიოთ, რომ ასეა.

მძიმეა, ძალიან მძიმე კასპის ბავშვთა სახლის მდგომარეობა, მაგრამ არა ისეთი, გაზეთი „არგუმენტი და ფაქტი“ ყალბი ჰუმანურობით შეკერილ, ცინიზმით გაჯერებულ ინფორმაციას რომ აწვდის მკითხველს. „ინფორმაცია“ კი ასეთი გახლდათ: **„ზაფხულის ცხელ დღეებში ბავშვთა სახლში ყოველდღიურად კვდებოდა ბავშვი. სხვათაშორის, ბავშვები ზამთარშიც იხოცებოდნენ — ერთხელ, ძლიერი ყინვების შემდეგ დილით არ გამოიღვიძა 16 ბავშვმა. რამდენიმე წლის წინ საბავშვო სახლში სულ 125 ბავშვი იყო — ქართველები და რუსები, თათრები და უკრაინელები, გოგონები და ბიჭები 3-დან 15 წლამდე, ჯანმრთელები და შედარებით სუსტები. დღეს — დარჩა სამოცამდე ბავშვი, უფრო ზუსტად რამის თქმა შეუძლებელია, რადგან შესაძლოა მომავალ დილამდე ათოდე ბავშვმა ვერ მიაღწიოს“** — იწყებს წერილს ავტორი.

მტკნარი სიცრუეა.

მსგავსი არაფერი ყოფილა, თანაც მორეკარეტოს წინასწარმეტყველების მიუხედავად, ბავშვთა სახლში კვლავ 60 აღსაზრდელია, უფრო ზუსტად — 105 ირიცხება, მაგრამ ზოგი მშობლებს წაუყვანიათ დროებით.

ჩანს მდგომარეობა „გამოსწორებულა“, ბავშვები ბუზებივით აღარ იხოცებიან, თორემ ბავშვთა სახლი უბრალოდ აღარ იარსებებდა. (იქნებ ვინმეს კიდეც სურდეს ამ ტემპით ჩვენი განადგურება, მაგრამ საბედნიეროდ ასე არ ხდება). სამწუხაროდ, იგორს ქართველების კაცმოყვარეობისა არაფერი სჯერა. ისევ ციტატას მოვიშველებ: **„კასპის ბავშვთა სახლი ქალაქის განაპირას მდებარეობს. მაგრამ ბავშვები რომ შიმშილით იხოცებიან, ყველამ იცის. თუმცა, მშიერ ბავშვებს ლუკმა პურსაც არავინ მიაწვდის, თავადაც არა აქვთ და იმიტომ. მართალია, არც მაშინ იძლეოდნენ რამეს, როცა ყველაფერი იშოვებოდა. ვერავინ შესძლო აეხსნა რატომ, მაგრამ კასპში ადგილობრივი ბავშვთა სახლის აღსაზრდელები არასდროს უყვარდათ“**. ყველამ თავის სიმართლით იაროს და ყველას იმავე საწყალი მიერწყვება, რითაც თვითონ რწყავს. მე კი თავს ალარ შეგაწყენთ იმ გესლიანი სტატიის გამოწვლილვით, ცხვრის ქურქში გახვეული მგლის მორალს რომ ჰგავს. შევეცდები მოკლედ მოვჭრა სათქმელი:

მორეკარეტო ქართველთა გაჭირვებას კარგა ღრმად ჩაწვდენია. სამი წელია თავისუფალი ხართ და რა მიიღეთო? კუპონი არ კუპონობს, მაღაზიაში არაფერია, წარმოებები დგას, ხელფასები არ რიგდება, გადასახადები უზომოდ დიდია, პური გაძვირდა, არც შუქი, არც გათბობა, არც წყალი. „ლიარსებებსაც“ არ გვიკარგავს: „ქართველები ამაყი ხალხია და თუ მავანს გადაუხდელი საფასურის გამო გამოურთეს წყალი, შუქი, გაზი, თუ არა აქვს ლუკმა პურის საყიდელი ფული, იმაზე ვერც დაიჩივლებს, მიღებული არ არის — **ნაციონალური ტრადიციების თანახმად ამაყად უნდა ამოგხდეს სული, ყველასაგან დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფალ მოქალაქედ“**. ორი სიტყვით რომ ვთქვათ, თქვენი თავისუფლება სიკვდილია, ქართველებო, მეტის ღირსი არა ხართ — ესაა რუსის წერილის იდეა და ჩანაფიქრი. ამ იდეას ემსახურება მისი გადაჭარბებული „ჰუმანიზმი“ ნამდვილი ბავშვებისადმი.

„სადა ხართ — ამაყნო ქართველნო?“ — გვიხმობს პათეტურად რუსი „მორალისტი“ და რიტორიკურ კითხვებს გვისვამს: „საკითხავია: ბავშვებს, რომელთაც არაფერი გაეგებათ დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისა, რისთვის ესაჭიროებათ ეს ყოველივე, თუ არ ექნებათ პური?... რატომ არ არის კასპის ბავშვთა სახლში წყალი, სინათლე, ტანსაცმელი, თეთრეული, საჭმელი? — ზნეობრივი პრინციპებით გვეკარება უზნეო, სად არის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, მარტო შენობა რომ შეგრჩენიათო ქართველებს — იცის, პასუხს ვერავინ გასცემს.

მეტისმეტად „გაზრდილ“ და „დახვწილ“ ილიასეული რუსი ოფიცერი, განათება და განათლება რომ ერთმანეთში ერეოდა, რიტორის მანტია მოუსხამს, ახლა მორალს გვიქადაგებს და ისე გამოდის, ჩვენივე ბავშვებს იცავს ჩვენგან. კაცე განცვიფრებული ხელებს შლის (თუ სიამოვნებით იფშვნეტს), რა ვქნა ხალხნო, როდემდე უნდა მიყუროთ ხელებში, მთელ ბავშვებს რუსეთში ხომ ვერ წავასხამ, თქვენც მიხედეთ ცოტა, ასე ასრულებს წერილს მქრდავი.

მავანთ და მავანთ რუსეთში და საუბედუროდ ჩვენშიც, ნამეტანი ყელზე ადგათ ჩვენი, დღეს უკვე თითქმის ნულზე დასული დამოუკიდებლობაც კი. აკი ამიტომაც ჩაგვჩიჩინებენ დღედაღამ: თქვენ მარტო, დამოუკიდებლად არსებობა არ შეგიძლიათ, უჩვენოდ დაიკარგებითო. მორეკარეტოს ეს წერილიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამას და საკვალალო ის არის, რომ ამ ყაიდის რუსთა ტაშ-ფანდურზე ჩვენებური „რუსეთუმეებიც“ უვლიან დავლურს, ერთი სული აქვთ, კვლავ როდის „ჩავეხუტებით“ უფროს ძმას, ის კი ავიწყდებათ, რომ ბევრი დღეანდელი სატკივარი სწორედ ამ „ჩახუტებისაგან“ გვჭირს.

ნინო ფაცურია

ამხანაგო მორეკარეტო, შენ ჩვენთვის რა გატირებდა?..

კრიტიკა

ამხანაგო მორეკარეტო, შენ ჩვენთვის რა გატირებდა?..

აწმყო წარსულში

დამოუკიდებლობას ბევრი მტერი ჰყავდა

ამერიკაკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა 1918 წლის 9(22) აპრილს დიდ სიძნელეებს ჰქმნიდა ბოლშევიკური იმპერიის შექმნის გზაზე. ამერკავკასიის სეიმი (თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე) და ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) არ აპირებდნენ ახლად შექმნილი სახელმწიფო საბჭოთა რუსეთის სატელიტად იქცეოდა, არც საბჭოთა რუსეთის ლიდერები (ვლადიმერ ლენინი, იოსებ სტალინი, ლევ ტროცკი და სხვ) მალავდნენ თავიანთ უმაყოფილებას ამერკავკასიაში მოვლენების განვითარებით. ჩვეულებრივ ამერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკისა და შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მთავარ მებრძოლ ძალად ადგლობრივ ბოლშევიკებს განიხილავენ, თუმცა საარქივო დოკუმენტები და მასალები აშკარად მიგვანიშნებენ მეორე ძალაზე — რუსთა ეროვნულ საბჭოზე.

1918 წლის 16 აპრილს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო საიდუმლო წერილობითი ცნობა რუსთა ეროვნული საბჭოს მიერ ამერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის მზადების შესახებ. აღმასკომმა ცნობა იმავე დღეს დაუგზავნა ამერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს აკაკი ჩხენკელს, შინაგან საქმეთა მინისტრს ნოე რამიშვილს, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და თავდაცვის კომისიის თავმჯდომარეს გიორგი ფურულს. საქმეში დაცულია როგორც საიდუმლო ცნობის დედანი (ხელნაწერი) ისე მისი ასლი (მანქანაზე ნაბეჭდი).

იმნაირად ამერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებულმა ადამჭრელმა ღონისძიებებმა და თვით საბჭოთა რუსეთში შექმნილმა მძიმე სამხედრო-პოლიტიკურმა სიტუაციამ ხელი შეუშალა შეიარაღებულ გამოსვლას ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ვახტანგ გურული

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

საიდუმლოდ

1. მინისტრ-თავმჯდომარეს ბ. აკ.ჩხენკელს, №1113
2. მინისტრს შინაგან საქმეთა ბ. ნ.ბ.რამიშვილს, №1114
3. ბ. ნ.ნ.ჟორდანიას, №1115
4. თავდაცვის კომისიის თავმჯდომარეს ბ. გ.ფურულს, №1112

აღმასრულებელი კომიტეტის კანცელარიამ მიიღო წერილობითი საიდუმლო ცნობები, რომლის პირსაც ამასთან გახლებთ.

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ (ხელმოწერა)

მდივანი (ხელმოწერა)

(1918 წ. 16 აპრილი).

სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 132.

ფურცელი 1.

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომში 1918 წლის 16 აპრილს მიღებული საიდუმლო ცნობა

I

რუსთა ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი აწყობს შეიარაღებულ თავდასხმას ამიერკავკასიის მთავრობის შესაჭერობათ და რესპუბლიკის თვითარსებობის მოსასპობათ.

ამისათვის: 1) რაზმავენ საკუთარ ჯარს გარდა 9.000 რუსს, აფიცრებს, სამხედრო და სამოქალაქო რუს მოხელეებს, სამსახურში მყოფს და სამსახურიდან გადამდგართ; 2) რუს სოციალისტებს სხვადასხვა პარტიებისას; 3) რუს გამოქცეულებს ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან; 4) შემოღებულ წესით უკმაყოფილო სომხებს და ოსებს. ამ უკანასკნელთ აქეზებენ, რომ ხელახლავ დესხმიან ქართველებს ქართლში და საჩხერის რაიონში; 5) საიდუმლოთ გადაუწყვეტიათ მოისყიდონ რაც შეიძლება მეტი ქართველები — ჯარისკაცები, აფიცრები, მოხელეები და სხვა, რომ პირველნი ორნი არ გამოვიდნენ საბრძოლველათ და თუ ეს ვერ მოახერხეს, ისროლონ ჰაერში და გაიქცნენ მაშინვე; ხოლო მოხელეებმა და სხვათ გასწიონ პროპაგანდა, რომ დამოუკიდებლობა დამღუპველია ამიერკავკასიისათვის; შეაგონონ ხალხს, რომ ითხოვოს მან სეიმის გარეკა და სხვა.

II

უკვე შეთანხმდნენ ჩვენებურ ბოლშევიკებთან, რომელთაც აღუთქამთ ქართველ ერში და მოქართველე ოსებში ანარქიული გამოსვლების მოწყობა, პირველათ ოსებში, სამეგრელოში (წალენჯიხისა და ახალსენაკის რაიონში), ხონში და მერე სხვაგან.

ჩვენებურივე ბოლშევიკები შესდგომიან თავდარიგს ხელი შეუწყონ რუსთ ბოლშევიკების შემოსვლას არა თუ მარტო ბაქოდან, არამედ კავკაზიდანაც და თუ შესძლეს სოხუმიდანაც.

აგენტები უკვე გაგზავნილი ჰყავთ ყოველგან.

III

ბევრ რუსისა და ახალგანდელი წესით უკმაყოფილო სომხის ოჯახებში ინახება იარაღები და ტყვიის მფრქვეველები, რომ ხელი შეუწყონ საჭირო დროს მთავრობის საწინააღმდეგო მეამბოხეებს.

იტვით, ტყვიის მფრქვეველები უნდა ჰქონდეს ვიდაც სომეხ მდგმურს მანთაშევის სახლში, განოვის ქუჩაზე.

გუშინ, ამ თვის 15-ს საღამოს 8-10 1/2 (საათზე — ვ.გ.) ქალაქში მცხოვრებ ბოლშევიკებს ჰქონდათ საიდუმლო კრება. განიხილეს მთავრობის გადწყვეტილება მათის შეპყრობის შესახებ (ეს გადწყვეტილება მათი სიტყვით გამოტანილ იქმნა ვითომ 3 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 2-სა და 1 შეკავებულისა).

ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს დღესვე (არ ვიცი საათი) გაიპარონ ვლადიკავკაზში სამხედრო გზით, სამეგრელოში და სოხუმში — ქუთაისი-ხონით.

ბოლშევიკებს ნივთიერ შემწეობას აძლევენ რუსები და სომხები.

სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე №4—132, ფურცლები 2-4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

»საქართველოში შენ ერთი მაინც არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები«

ფართო მკითხველისათვის უცნობი.

თბილისის ინტელექტუალური წრეებისათვის საყვარელი და ჯოლოხიანელი პირთვნეობა.

ჟინოფილმის „გიორგი სააკაძის“ ყურებისას ყველას ცრემლი მოგვრევია. პაატას მედის გამო.

ის მშვენიერი ყმაწვილი, რომლის სახე აღმოჩდილია მაყურებლის მოსსიერებაში, მატონი გაიოზ შარაშიძე გახლდათ, ცხადია მავშვობაში.

ფილმის ყურებისას პატარა, სკოლამდელი ასაკის შვილიშვილმა პაპას გაოცებულმა ჰკითხა: კი მაგრამ ცოცხალი როგორა სარ, შენ ხომ თავი მოგკვეთესო...

როგორც პატარა შვილიშვილს გაუსარდა იმის აღმოჩენა, რომ „პაატა“ ჯვლავაც ცოცხალია, ასეთივე სიხარულით არიან აღსავსენი ის ადამიანები, რომელთაც მატონმა გაიოზმა ცხოვრების სიყვარული და სალისი ჯვლავ დაუმორნა.

დიას მატონი გაიოზი სულის მკურნალია.

ფსიქიატრიის ინსტიტუტის დიაგნოსტიკურ-პოლიკლინიკური განყოფილების გამგე.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ერთიანი ასოციაციის პირველი პრეზიდენტი.

გაბეთ „საქართველოს“ წინა ნომერში დაიბეჭდა ასალი რუბრიკა „საქართველოში შენ ერთი მაინც, არ იტყვი როგორც იტყვიან სხვები“. გპირდებოდით, რომ რუბრიკით მხოლოდ თვითმყოფადობით და საქმით გამორჩეულ პირთვნებებს წარმოგიდგენდით. იმათ, ვინც საინტერესოა საშუალებათა ყურადღებით არ არიან განებივრებულნი და თავიანთი მოკრძალებული ზუნების გამო არც თავად ასოვენ ვინმეს ჯალთებს.

მაგ ასე, დღევანდელი ნომრის სტუმარია ექიმ-ფსიქიატრი გაიოზ შარაშიძე.

სჯობს საშინელი დასასრული, ვიდრე უსასრულო საშინელება

— ჩვენი სულიერი მდგომარეობა რომ გაუარესდა, ამას ყველა გგრძნობთ. რითი შეიძლება ეს აიხსნას? შეიცვალა თუ არა მოსახლეობის ფსიქიკური მდგომარეობა წინა პერიოდთან შედარებით? მიზეზები.

— ადამიანის სულიერი მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ჰარმონიას აღწევს იგი ამა თუ იმ სოციალურ გარემოში. სხვა ფაქტორებთან ერთად გარემოებაც ქმნის ადამიანის სულიერი მდგომარეობის ცვლილებებს. საქართველოში არსებული ამჟამინდელი მდგომარეობა, რასაკვირველია, მძიმე ტვირთად აწვება ფსიქიკას და სულიერ ყოფას. წარმოიდგინეთ სამოქალაქო ომი, აფხაზეთის დაკარგვა, იმედების გაცრუება, დამარცხებული ქვეყნის სინდრომი, მომავლის იმედის არქონა, კოშმარული ეკონომიური მდგომარეობა, მომავლის შიში და სხვა.

ჩვენს ცხოვრებაში მოხდა უდიდესი ტრანსფორმაცია, ერთი წყობიდან გადავდივართ მეორეში (გარდამავალი პერიოდი), ყალიბდება ახალი საბაზრო გარემო, საკუთრების ახალი ტიპი. ცხოვრების წესის ძირეულმა ცვლილებებმა ბევრად წინ გაუსწრო ცვლილებებს ჩვენს ცნობიერებაში, აზროვნებაში. [illegible] კონფლიქტი ძველ წა[illegible]ნებსა და ახალ რეალობას შო[illegible]ჭეოური მორალიდან თავისუფა[illegible]ქალაქის მორალური კატეგორი[illegible]ბირება განსაკუთრებით გაძ[illegible]ველ ნომენკლატურულ ფენებში. [illegible]ქიკური სტერეოტიპის შეცვლა არავისათვის უმტკივნეულოდ არ ჩავლის. წარმოიდგინეთ, რასაც უწინ სპეკულაცია ერქვა, ეხლა — კომერციაა, ბევრი რამ რაც უწინ იგმობოდა, ეხლა ღირსეულ საქმედ ითვლება და წესიერი შემოსავლის წყაროდ იქცა. წინათ ადამიანს ფაქტიურად არჩენდა სახელმწიფო, ეხლა უნდა თვითონ ირჩინოს თავი.

ამ გარდამავალ პერიოდში საზოგადოებაში შეიმჩნევა სულიერების და ზნეობრიობის დაკნინება; თვითგადარჩენის ბუნებრივი ლტოლვა ბადებს მატერიალურ პრიორიტეტებს სულიერის საწინააღმდეგოდ. ამას ემატება უკანონობა და დაუსჯელობა, რაც ჩვენ ცხოვრებაში განსაკუთრებულ მანკიერ მოვლენებს უდებს საფუძველს.



— ახალ სოციალურ და ფსიქოლოგიურ გარემოში როგორია შეგუების პრობლემა? უჭირს თუ არა ადაპტაცია ყველა ადამიანს?

— დეზადაპტირებულია ყველა ფენის ადამიანი. აქ არ ვგულისხმობ, რასაკვირველია, რეკეტიორებს, მაფიოზებს — და ამ ჯურის ხალხს. მძიმე ეკონომიური პირობებიც სხვა მიზეზებთან ერთად განაპირობებს ნევროზული და მოსაზღვრე მდგომარეობათა (ფსიქოპათიის სხვადასხვა ფორმები) მატებას.

ახალგაზრდებში მეტ-ნაკლებად გავრცელდა ნარკომანია, მაგრამ, ეს ცალკე თემაა და ძნელია აქ გაუვრცელებელი საუბარი.

ხელმოცარულობის და უმუშევრობის გამო გახშირდა დეპრესიული ნევროზები და სხვა მოსაზღვრე მდგომარეობანი.

ლტოლვილების პრობლემა ფსიქონევროლოგების და პათოფსიქოლოგების ცალკე შესასწავლი თემაა. ცნობილია, რომ სჯობს საშინელი დასასრული, ვიდრე უსასრულო საშინელება. ლტოლვილების ძალიან მცირე ნაწილმა მოახდინა ადაპტირება. დიდი ნაწილი კი სრულიად დეზადაპტირებულია. ვერ პოულობენ საქმეს, სამუშაოს. მათი სიცოცხლე ერთ გრძელ მოლოდინშია, საკუთარი სახლ-კარის დაბრუნების მოლოდინში.

აქ იბადება ე.წ. მოლოდინის ნევროზი, რომელიც მძიმე ფსიქიურ ტრავმას ანიჭებს ადამიანს. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი მტანჯველია მოლოდინის განცდა. პათოფსიქოლოგიური გამოკვლევებით დადასტურდა, რომ პატიმარი განაჩენის გამოტანამდე უფრო მძიმე სულიერი ტანჯვის მდგომარეობაშია, ვიდრე განაჩენის გამოტანის შემდეგ, მაშინაც კი, როცა იგი უფრო ლმობიერ სასჯელს ელოდა.

გაურკვევლობა ფსიქიურ ტრავმას აყენებს ადამიანს. ასეთ მდგომარეობაში იმყოფება 200000-ზე მეტი ლტოლვილი ადამიანი და ისინი საჭიროებენ არა მარტო მატერიალურ, არამედ მორალურ დახმარებას. მათთან საჭიროა ფსიქოლოგიური მუშაობა და ცალკეულ შემთხვევებში ფსიქიატრიული დახმარებაც კი. არ არის ძნელი წარმოსადგენი, თუ რა ფსიქიკური პრესის ქვეშ იმყოფება თუნდაც ენგურის ხიდთან სამშობლოში დაუბრუნებლად მომლოდინე ათასობით ადამიანი.

ჩვენ სრულიად მოუმზადებლები აღმოვჩნდით ომიდან დაბრუნებული და საკუთარ მიწა-წყალს მოცილებული ადამიანების წინაშე. შექმნილი ფსიქიკური პრობლემების გადასაჭრელად, ამ უსახსრობის პირობებში, რაც დღეს კეთდება — ზღვაში წვეთია. ეს საკითხი გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს.

კიდევ ერთი ჩვენთვის ახალი ფსიქოლოგიური მოვლენა — მასობრივი უმუშევრობა. უმუშევრობასთან პირდაპირ კავშირშია ერთის მხრივ მოსახლეობის მიგრაცია და მეორეს მხრივ დეკვალიფიკაციის პრობლემა.

ემიგრაციას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ახალგაზრდა, რომელიც საზღვარგარეთ იძენს პროფესიას და უბრუნდება სამშობლოს, ცხადია, დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ ემიგრანტების რა პროცენტი დაუბრუნდება საქართველოს? ბევრმა შეიძლება გაინაღდოს სამშობლოს გარეთ საუკეთესო პირობებში ყოფნა, ვიდრე შეუდგეს საქართველოს აღშენებლობის მძიმე ტვირთის აწევას.

პროფესიული დეკვალიფიკაცია მძიმე ტვირთად დააწვება სახელმწიფოს. მასწავლებელი პურს ყიდის, ინჟინერი — ჯიხურში ვაჭრობს და ა.შ. ბუნებრივია, რომ ადამიანებს უჭირთ შეუჩვეველი საქმის კეთება. ადამიანისათვის შეუჩვეველი შრომა იქცევა არა საკუთარი ძალების რეალიზირების ასპარეზად, არამედ ძნელად შესაგუებელ მძიმე ტვირთად და თრგუნავს პიროვნებას. ამ მოვლენის ფსიქოლოგიური შედეგი არის დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება, რაც გავლენას ახდენს სულიერ მდგომარეობაზე ოჯახიდ[illegible] დაწყებული მთელი საზოგადოებით [illegible] მთავრებული.

— ფსიქიატრია, როგორც დარგი, რა მდგომარეობაშია?

— როგორც ყველა დარგი, დღეს აქაც განსაკუთრებული, მე ვიტყოდი, საგანგაშო მდგომარეობაა. ფსიქიური ავადმყოფები წლობით საჭიროებენ მოვლა-პატრონობას და მედიკამენტებით უზრუნველყოფას. სულით ავადმყოფთა მოუვლელობამ შეიძლება მძიმე განსაცდელში ჩააგდოს ოჯახი და დესტაბილიზაცია გამოიწვიოს სახელმწიფოში. ადამიანთა ნაწილი ბრბოს სახით ხშირად წარიმართება ფსიქიკურად არასრულღირებულოვან ადამიანების მიერ. არსებობს ბრბოს ისტერია. ზეკომპენსირებისკენ მიდრეკილი ადამიანები, რომლებიც ისტერიით ან ფსიქოპათიის სხვადასხვა ფორმებით არიან შეპყრობილნი, საჭიროებენ კორექციას და ნორმალურ ჩარჩოებში ჩაყენებას.

ბუნებრივია, ერთი მუჭა დამშეული ფსიქიატრების საშუალებით ამის მიღწევა შეუძლებელია.

ფსიქიატრია როგორც დარგი არ შეიძლება იყოს მხოლოდ თვითდაფინანსებაზე, არცერთ ქვეყანაში არ არის ასე. საზღვარგარეთ, განვითარებულ ქვეყნებში ერთ სულ სულით ავადმყოფზე დღეში იხარჯება 200-დან 300 დოლარამდე და მეტიც, განვითარებად ქვეყნებში 100—150 დოლარი. ჩვენთან ეს ხარჯები უსასრულოდ მცირდება ყოველთვიურად და რამდენიმე ცენტსაც არ აღემატება. რომ არა ჰუმანიტარული დახმარება და მცირეოდენი შემოწირულებანი, საქართველოში პრაქტიკული ფსიქიატრია აღარ იარსებებდა. სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს ფსიქიატრიის გადარჩენის პროგრამა.

დასასრული მე 8 გვ.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებელი ყრილობა

პირველი გვერდიდან

ვიდა ბ-ნი ნოდარ ნათაძე. მან აღნიშნა, რომ გაერთიანების მიზანია საქართველოს ხსნა. მიუხედავად იმისა, რომ პარტიებს შეუძლიათ ცალცალკე არსებობა და მოქმედება, ისინი ერთიანდებიან, რათა ერთიანი ძალისხმევით იხსნან საქართველო დაღუპვისაგან. ბ-ნმა ნოდარ ნათაძემ ჩამოაყალიბა თეზისები, რომელიც მას მნიშვნელოვნად მიაჩნია საქართველოს გადასარჩენად:

1. სახელმწიფო, რომელიც დამოუკიდებლად მოაწესრიგებს მის შიგნით არსებულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პრობლემებს და სადაც კანონი უზენაესი იქნება.

2. თავისუფალი სახელმწიფო, რომელიც თავის შინაგან თუ საგარეო პოლიტიკას თვითონ განაგებს.

3. ტერიტორიულად შეულახავი საქართველო, რომელსაც ეყოლება ჯარი თავისი ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

4. დემოკრატიული საქართველო.

5. მშვიდობიანი სახელმწიფო, სადაც ადგილი არ ექნება ურთიერთშორის დაპირისპირებას.

6. ჭეშმარიტად დემოკრატიული საქართველო, სადაც არ იარსებებს ეროვნული უმცირესობის ასიმილაცია და იგნორირება.

7. საბაზრო-ეკონომიკურ პრინციპებზე აგებული სახელმწიფო. „ჩვენ არ ვეწყობით შევარდნაძის მმართველობას, მის პოლიტიკურ კურსს, რომელიც დამღუპველია ქვეყნისათვის და დღეს აუცილებელია ყველა პატრიოტული ძალებისა და პარტიების გაერთიანება" — განაცხადა ბ-ნმა ნოდარ ნათაძემ.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ბ-ნი ვახტანგ ძაბირაძე, რომელსაც მიაჩნია: რესპუბლიკური პარტიის მთავარი მიზანია საზოგადოებამ ირწმუნოს, რომ ეს ძალა არის ის ძალა, რომელიც მშვიდობიანი გზით გადაჭრის ყველა არსებულ პრობლემებს. „პარტია უნდა ფიქრობდეს, მუშაობდეს და მოქმედებდეს ერთად. იგი არ უნდა მოქმედებდეს მმართველი ელიტის ზეგავლენით", — აღნიშნა ბ-ნმა ვახტანგ ძაბირაძემ.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა ქარტია 91-ის თავმჯდომარემ ბ-ნმა თედო პაატაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ამ გაერთიანებას ისტორიულეროვნული მნიშვნელობა გააჩნია, და რომ ეს დღე არის ქართველი ერის, ქართული საზოგადოების გაერთიანების დღე. პარტიების გაერთიანების შემდეგ დაძლეული უნდა იქნას შინაგანი შეუთავსებლობა პარტიებს შორის, ბ-ნ თედო პაატაშვილს ღრმად სწამს, რომ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია იქნება ზნეობრივად, ინტელექტუალურად მოწინავე პარტია.

ყრილობის დასასრულს სიტყვა მიეცა სამანდატო კომისიას, რომლის სახელით გამოვიდა ბ-ნი აბესალომ ტულუში. გადაწყვეტილება გაერთიანების შესახებ მიღებულ იქნა ერთხმად, აგრეთვე მიღებულ იქნა წამოყენებული წესდება. ყრილობაზე აირჩიეს პოლიტსაბჭო 25 კაცის შემადგენლობით. ყრილობაზე აზრი გამოითქვა სარევიზიო კომისიის შემადგენლობის შესახებ და პოლიტიკური დეკლარაციის მიღების თაობაზე.

ბ-ნმა ირაკლი მელაშვილმა წაიკითხა ამ დეკლარაციის ძირითადი პრინციპები. მან ხაზი გაუსვა საპარლამენტო რესპუბლიკის არსებობას და ადამიანის უფლებათა დაცვას. დეკლარაციის მიღებას კენჭი ეყარა და იგი მიღებულ იქნა. ყრილობის დასასრულს ბ-ნმა ივლიანე ხაინდრავამ აღნიშნა, რომ 23 ოქტომბერი საეტაპო გახდება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სახალხო ფრონტის, ქარტია—91-ის და რესპუბლიკური პარტიის სამართალმემკვიდრედ გამოცხადდა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია. ამით სამმა სოლიდურმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ არსებობა შეწყვიტა და ოფიციალურად გაფორმდა ერთი მძლავრი, ქვეყნის ცხოვრებაში წამყვანი ორგანიზაცია „გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის" სახელით.

ყრილობაზე არჩეულ იქნა პოლიტიკური საბჭო შემდეგი შემადგენლობით.

პოლიტიკური საბჭოს წევრები:

დავით ბერძენიშვილი, აკაკი ბობოხიძე, ვასილ ბუზალაძე, გოჩა გავაშელი, ნოდარ გრიგალაშვილი, თამაზ დიასამიძე, თენგიზ დიხამინჯია, ოთარ ზოიძე, გიორგი თამლიანი, გელა კველიშვილი, ირაკლი მელაშვილი, შოთა ნადირაშვილი, გაიოზ როგავა, ფრიდონ საყვარელიძე, ლაშა ტულუში, დავით უსუფაშვილი, ბესარიონ ფარუაშვილი, მერაბ ქათამაძე, კახა ჯანაშია.

სარევიზიო კომისია: ზაზა მეცხვარიშვილი, მალხაზ შევარდნაძე, კობა დავითაშვილი, გია ჯანდიერი, კოტე მასხულია.

ყრილობამ აირჩია დარბაზი.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დარბაზმა თავის ხელმძღვანელად აირჩია ბატონი ნოდარ ნათაძე.

ქეთი დავლიანიძე

პოლიტიკური საბჭოს სხდომა

ყრილობის მეორე დღეს, 24 ოქტომბერს, გაიმართა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ახლადარჩეული პოლიტიკური საბჭოს სხდომა. სხდომაზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

აირჩა სამდივნო 6 კაცის შემადგენლობით. სამდივნოს შემადგენლობაში შევიდნენ დარბაზის ხელმძღვანელი, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე, პოლიტიკური საბჭოს მდივანი და დარგობრივი მდივნები. პოლიტიკურმა საბჭომ დაამტკიცა აპარატის ხელმძღვანელი და აირჩია პარტიის ბეჭდვითი ორგანოს მთავარი რედაქტორი.

სამდივნო:

რომან გოცირიძე — მდივანი ეკონომიკურ დარგში

ნოდარ ნათაძე — დარბაზის ხელმძღვანელი

თედო პაატაშვილი — მდივანი საგარეო ურთიერთობათა დარგში

მერაბ ურიდია — პოლიტიკური საბჭოს მდივანი

ვახტანგ ძაბირაძე — მდივანი ორგანიზაციულ — პარტიული მუშაობის დარგში

ვახტანგ ხმალაძე — საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე

ნოდარ გრიგალაშვილი — გაზეთ „საქართველოს" მთავარი რედაქტორი

გოგი სორდია — აპარატის ხელმძღვანელი

სჯობს საშინელი დასასრული, ვიდრე უსასრულო საშინელება

მეშვიდე გვერდიდან

— ქართველებს განუვითარდათ არასრულფასოვნების კომპლექსი, ხშირად გაისმის, რომ თურმე ვინ ვყოფილვართ, ცუდები, ბოროტები, გაუტანლები და ა.შ. ნუთუ მართლა ასეა?!

— ჩვენში უარყოფითი მოვლენების კომენტირებისას ხშირად არგუმენტად იყენებენ ქართულ ხასიათებს, ქართულ ბუნებას.

არასრულფასოვნების განცდა და მისი გადაქცევა ერის სულიერი მდგომარეობის მაჩვენებლად არის უდიდესად საშიში მოვლენა. შექმნილი ვითარება დიდ გავლენას ახდენს ადამიანზე, დიდ სოციალურ ჯგუფებზე და მთლიანად ერზე, ავლენს მის დადებით და უარყოფით მხარეებს, თვისებებს. ჩვენ ვიცით, რომ გარემოება თანაბრად ახდენს გავლენას ქართველზე, ფრანგზე, გერმანელზე თუ რუსზე, ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა და ამის დასასაბუთებლად ადრეული ისტორიული მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა. მე, პირიქით ვიტყოდი — ამ უმძიმეს, სულის დამანგრეველი მოვლენების შემდეგ კიდევ მხნედ გამოვიყურებით, შეიძლება უარესიც ყოფილიყო.

სიკეთე, ზნეობრიობა და მოყვასისადმი სიყვარული მრავალ გარემოებათა შედეგია — მატერიალურ მდგომარეობის, კულტურის, ტრადიციების, ერის ფსიქოლოგიური მემკვიდრეობის, ეროვნული ენერგიის და ა.შ. ახალი ზნეობრივი გარემოს, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, შექმნა ბევრ რამეს შეცვლის; ჩვენს კარგ თვისებებს გაალვიძებს და ცუდს დათრგუნავს. ეს ბანალური ჭეშმარიტებაა, მაგრამ და ამაშია საქმე, რომ ხელისუფლება ვალდებულია შექმნას ისეთი სამართლებრივი, ეკონომიკური, თუ ფსიქოლოგიური ფონი, რომელიც სულიერ და ზნეობრივ ალზევებას შეუწყობს ხელს.

უნდა შეწყდეს ქართველი კაცის არასრულფასოვნების ყბადაღება, თუმცა არც მეორე უკიდურესობა უნდა დაგვავიწყდეს: გადაჭარბებული თვითშეფასება, ყოყლოჩინობა, განსაკუთრებულობის ქადაგება. არასრულფასოვნების განცდიდან ერთი ნაბიჯია გადაჭარბებულ სრულფასოვნების განცდამდე, რაც სოციალურ აგრესიულობისაკენ უბიძგებს ერს, მითუმეტეს თუ მოსახლეობა ფსევდოპოლიტიზირებულია.

— ვერ გავიგე რას გულისხმობთ ამ ტერმინში? ჩვენში უკრიტიკოდ არის გავრცელებული აზრი, რომ მოსახლეობა ზედმეტად არის პოლიტიზირებული.

— ფსევდოპოლიტიზირებაში მე ვგულისხმობ ერთის მხრივ, მართლაც, მოსახლეობის პოლიტიკურ აქტიობას, რომელიც ჩვენში შეიმჩნევა და მეორეს მხრივ მსხვილი სოციალური ფენების მიერ მოვლენების დამახინჯებულ აღქმას, ესაა მრუდე სარკის ეფექტი. ბევრი ვერ არის გარკვეული სადაა სიმართლე და სად არა. მოსახლეობის ასეთივე ფსიქიკური მდგომარეობა თავის მხრივ უკუგავლენას ახდენს პოლიტიკურ ელიტაზე, ხელისუფლებაზე, ბადებს პოპულიზმს, დემაგოგია გახდა პოლიტიკური ცხოვრებისა და ქვეყნის მართვის ფორმა.

— გარდა წმინდა სამედიცინო ღონისძიებებისა, რა ღონისძიებებია საჭირო ადამიანთა გარკვეული ნაწილის ფსიქიკური გაჯანსაღებისათვის?

— უპირველეს ყოვლისა მოსახლეობის, ხალხის სწორი ინფორმირება. დეზინფორმაცია ერთერთი მიზეზია პარანოიალური საზოგადოების წარმოშობისა. მოვლენების ადექვატური აღქმა არის საკუთარი მდგომარეობის სალად, კრიტიკულად შეფასების აუცილებელი პირობა. ასევე აუცილებელია შრომის, ადექვატური შრომისათვის ნორმალური პირობების შექმნა და ადამიანის ყოველმხრივი დაცვა.

ესაუბრა

ნინო ზამთარაძე

პრესკონფერენცია

24 ოქტომბერს გაიმართა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრესკონფერენცია.

ნოდარ ნათაძემ, დარბაზის ხელმძღვანელმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ დღევანდელი ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსი ქვეყნისათვის დამღუპველია. დღევანდელი ხელისუფლება უნდა შეიცვალოს კანონიერი გზით.

მერაბ ურიდია, პოლიტიკური საბჭოს მდივანი, თავის გამოსვლაში შეეხო სამი პარტიის გაერთიანების აუცილებლობას, რომ ეს გაერთიანება წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის ცივილიზებული მოწყობისათვის. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შესახებ ისაუბრა ვახტანგ ხმალაძემ, საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელების" თავმჯდომარემ, ამ კომისიის მიერ მომზადებული პროექტი თვის ბოლოს პარლამენტის წინაშე წარდგება. ამ პროექტზე მკვეთრად იქნება გამიჯნული ხელისუფლების, პარლამენტის და სასამართლოს ფუნქციები.

ყველა გამომსვლელი შეეხო აფხაზეთის საკითხს, და აღნიშნეს, რომ პოლიტიკა, რომელსაც სახელმწიფოს მეთაური წარმართავს აფხაზეთის მიმართ, მცდარია.

გახსენება

კონსტანტინე თურმანიძე

კიდევ ერთი ვაჟკაცი შეიწირა ავაზაკის ტყვიამ. 10 სექტემბერს ბოროტმოქმედის ხელით საწუთროს გამოესალმა კონსტანტინე თურმანიძე, ქარელის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომელი, პოლიციის ლეიტენანტი, შეუდრეკელი ახალგაზრდა კაცი.

კონსტანტინე თურმანიძეს ყველგან უბრძოლია, სადაც კი უჭირდა მამულს. სამაჩაბლოში მუხლჩაუხრელად იბრძოდა, თავის მეგობრებთან, თანამებრძოლებთან ერთად იცავდა ქართულ სოფლებს პირსისხლიანი ოსი —სეპარატისტებისაგან, მრავალი ქართველის, დიდისა თუ პატარის სიცოცხლე გადაარჩინა და ვაგლახ, დღეს ვიღაც გარეწარის



ტყვიამ იმსხვერპლა უშიშარი ვაჟკაცი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მეგობრები

მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო

ქეთი დავლიანიძე, გელა ებანოიძე, ნინო ზამთარაძე, გია თვალავაძე, ირმა ლომაური, ნინო ფაცურია, სერგო ჯანაშია.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ: რედაქტორი: 93-20-36,

რედაქტორის მოადგილე: 93-18-41.

პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი გამოდის სამშაბათობით

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 400 რუბლის შესაბამისი თანხა კუპონებში.